წელიწადი მესამე — ფასი 7 კაპ. — შაბათი, 18 აპრილი, 1917 წ.

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакция „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., ოთხივე გვერდზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ღირს: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირს. მეტი. დამატებითი № ღირს უფლებან 10 კაპ.

№ 83 — ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი — № 83



გაზეთი
„საქართველო“
ღირს:
მთელის წლით—15 მ., 1/2 წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80კ.
წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისათვის 5 მ. დ 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).
კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.
1 მარტიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქართვ.“ ღირება 12 მ.—50 კ.
ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.
რედაქტორი: გრიგოლ ვეშაპიძე.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.



15 აპრილს, დილ ს 8საათზე, სოფელ შრომაში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## თეკლე მერაბის ასული

## ღამბაშიძისა

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ: მეუღლე გიორგი ბესარიონის ძე, შვილები: ტრიფონ, ამბროსი, სერგო, შალვა და ნინო ღამბაშიძენი, სეფორა ლორთქიფანიძესა და მატრონა ძოძუაშვილისა, რძლები: მინადორა, მარიამ და ოლა ღამბაშიძეებისა, სიძენი: პარმენ ლორთქიფანიძე და კირილე ძოძუაშვილი დ შვილიშვილები. გამოსვენება და დაკრძალვა ხუთშაბათს, 20 აპრილს, შრომის წმ. გიორგის ეკლესიაზედ.

(1—603—1)



გულ-დათუთქულნი კნეინა ალექსანდრა (ნინო) მაჩაბლისა, ანა სვიმონის ასული ზაკრჟევსკისა, ელენე სვიმონის ასული ტიერი და ეფროსიმე სვიმონის ასული კონეცკისა მეუღლეებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს, რომ მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ აპრილის 17 გარდაიცვალა მათი ძვირფასი დედა.

## დარია იოსების ასულის ჯაფარიძისა

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე თბილისის მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოში. ცხედარს გამოასვენებენ იმავე სამლოცველოდან ოთხშაბათს, 19 აპრილს, წირვის შემდეგ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

(1—604—1)



შაბათს, 29 აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზედ

## სახელმწიფო თეატრში

დანიშნულია

საზეიმო ეროვნულ-კულტურული კრება

## ვალერიან გუნიას

პატივსაცემად და 35 წლის მოღვაწეობის სახაროდ აღსანიშნავად სამწერლო, სასცენო და საზოგადო ასპარეზზედ.

1882—XXXV—1917

დაწვრილებით პროგრამა ცალკე გამოცხადდება.
ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

საზეიმო კრების მომწყობნი { ქართული დრამატ. საზოგადოების გამგეობ ხაჯარო პატივცემის მომწყობი კომიტეტი და ქართველ მსახიობთა კორპორაცია.

იმავე დღეს საღამოს იმავ თეატრში

## სადღესასწაულო წარმოდგენა



ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა გამგეობა იწვევს

## მრეწველთა კრებას

დაბა ჭიათურაში ადგილობრივ თეატრის დარბაზში, 30 ამა აპრილს, დღითი 12 საათზედ. განსახილველია გამგეობის მიერ წამოყენებული შემდეგი კითხვები:

1) განხილვა და დამტკიცება შავი ქვის მრეწველთა წესდებისა.
2) განხილვა და გამორკვევა შავის ქვის მრეწველთა არსებულ საბჭოსთან დამოკიდებულებისა.
3) არჩევნები სხვა და სხვა თანამდებობის პირთა.

შავი ქვის მრეწველთა გამგეობა.
(1—602—1)



## მიიღეთ ფრანგულ აბრეშუმის ჭიის თესლი ცნობილ ფირმებისა

## ბერთეზი

და

ჩვენ მიერ საკუთრად შეკვეთილი ოთხკუთხიან კოლოფებში.

კოლოფებზე გამოხატულია სამფეროვანი ფრანგული ბაირაღი და შავი არწივი ყვითელ ფონზე. მიმართეთ: ტ. ხ. მირზაიანცს, თბილისი, განოვის ქ. № 8.
ტელეფონი 13—58. ტელეგრამით ტიგრან მირზაიანცს, თბილისში.
(10—576—6)



დუშეთის საქალაქო თვითმართველობა აცხადებს, რომ

## მუნიციპალურის საბჭოს

## პირველი დემოკრატიული არჩევნები

ხაბჭოს 15 წევრის (ხმოსნის) ასარჩევად

დანიშნულია ხუთშაბათს, 20 აპრილს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში. არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ყველა დუშეთში მცხოვრები ქალი და კაცი, რომელნიც-კი 1898 წელზედ ადრე არ არიან დაბადებულნი. არჩევნები დაიწყება დილის 7 საათზე და გათავდება საღამოს 5 საათზე. ამ ხნის განმავლობაში ყოველი მოქალაქე სათითაოდ მობრძანდება საარჩევნო დარბაზში და თავის კანდიდატების სიას ჩააგდებს საარჩევნო ყუთში. დარბაზში შესვლისათვის საჭიროა ამომრჩევლის ბარათი, რომელიც ყოველმა მოქალაქემ არჩევნების დღემდე თავის სახელზე უნდა მიიღოს ქალაქის თვითმართველობაში.

(2—651—2)



ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი კბილისა

## ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

## მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი

## მ. გ. ვეშაპიძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი

## გ. გ. მუხაძე

იღებს ხადოხტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

## იყიდება

ორსართულიანი ქვითკირის სახლი

ყოველისფრით შემკული. გამოყვანილია წყალი, გაჭრილია არხი და სხვ.
მინკვიცევის ქუჩა № 22.
პირობები იკითხეთ შიო ქუჩუკაშვილთან: ანანურის მისახვევი, № 7.
(6-652-1)

ექიმი

## ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმი

## მ. ი. ვარნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

[illegible]

მოსკ[illegible]

## კალანდარიშვილი

[illegible]

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს [illegible] ქ. № 3.

ექიმი

## ა. ლ. შალამბერიძე

იღებს საშვილოსნო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.


## თბილისი, 18 აპრილი.

დღეს ევროპულ კალენდარით პირველი მაისია.

მაისობა—მუშათა კლასის დღესასწაულია.

ამ დღეს მიტომ უქმობენ, რომ ყველა სახელმწიფოთა და ერთა მუშათა კლასის კავშირი განამტიცონ და მისი ძირითადი მოთხოვნილებანი აცნონ მთელს ქვეყანას.

მას მერე, რაც ომი დაიწყო, გერმანეთ - ავსტრიის და საფრანგეთ-ინგლის - რუსეთის პროლეტარიატი ბრძოლის ველზედ სდგას და თავიანთ სახელმწიფოთათვის სისხლსა ჰღვრის.

ძველი საერთაშორისო მუშათა კავშირი—ინტერნაციონალი—დაიშალა...

თვით პირველ მაისის დღესასწაული კი მოსპო ომმა; წლევანდელ თებერვლის რევოლიუციამ ახალი მდგომარეობა დაამყარა.

რუსეთის მუშათა და სალდათთა რევოლიუციონურმა კავშირმა მიზანში ამოიღო მთელის ქვეყნის ინტერნაციონალის აღდგენა და ამისათვის მიჰმართა მეომარ სახელმწიფოთა დემოკრატიას ცნობილი მოწოდებით, რომ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი შეეკრას.

დღეს, პირველ მაისსაც იმიტომ უქმობენ, რომ საერთაშორისო პროლეტარიატის ტრადიციული დღესასწაული განაახლონ და ამით ერთი სიგნალი კიდევ მისცენ საზღვარ-გარეთელთ ინტერნაციონალის აღდგენისათვის.

საქართველოს მუშათა კლასმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეთაურობით ავანგარდის საპატიო ალაგი დაიკავა რუსეთში.

საქართველოს შვილები არიან, პეტროგრადის სარევოლიუციო ძალების მეთაურ ორგანოს რომ ხელმძღვანელობენ.

დღეს საქართველოს დიდა ქალაქიც ახალი სტილით, ახალი კალენდარით უქმობს ინტერნაციონალის დღესასწაულს.

დღესასწაული ესე დიდებულია და საზეიმო...

კიდევ უფრო დიდებული იქნება ის დღე, როდესაც საქართველოს პროლეტარიატი იუქმებს ამ დღეს, როგორც თანასწორი წევრი უფლებამოსილ ეროვნებათა დემოკრატიის კავშირისა.

## პირველი მაისი.

დღე, როდესაც თვითეული ჩვენგანი—ვარდით და ნარგისით გვირგვინოსანი—შეჰხვდება ლილისფერ ცას...

— დღე, როდესაც თავისუფალ ჰაერში, აღარ იკარგება სურნელი ყვავილნარის, როდესაც გესმის ბგერა მიწისა...—

წითელი დროშები ბყვავილდნენ ლურჯ ჰაერში და განისმის ცასთან დაახლოვების—სურვილის ხმა...

— ცავ! გვინდა ვიყვეთ თავისუფალი, ვით შენი მკერდი, ვიყვეთ ლაღი, ვით შენი შევარდენი, გვინდა ჩვენც შეგვღებოს შენმა მზემ თავისს ოქრონემსულით რო ჰგმოსავს შენ!

— ცავ, გვსურს ვიყვეთ მხიარული, ვით შენი სიმღერა მაისიანი!..

ჩვენ გვიყვარს მიწაც და აქი ჩვენი ხელი, რომელიც მხოლოდ თაიგულებს ჰკრეფდა—სისხლით შევსვარეთ, რომ ჩვენი ბნელი ფუდაბნოები და მწირი ქოხები გაენათებინა შენს მზეს!

დღეს გვინდა ჩვენი სიმღერებით მიუხტეთ შენს კოშკებს, მოვარსკვლავული ალამი რო გადმოგიკიდია და ავავსოთ იგი ჩვენი ჰანგებით.

დღეს თუ ჩვენი დროშების წვერი ვერ მოჰხვდა შენს კალთებს, სამაგიეროდ შენსკენ გამოფრინდება ჩვენი ფრთოვანი სიმღერა და დაათრობს შენს მზეს, შენს მთვარეს და ვარსკლავებს...

წითელი დროშები კი შენს მზეს რაყიფად გამოუჩნდებიან...

მზევ! ავხადეთ ქიშმირის ფარდა; ჩვენი მყინვარის მქრქალი შუბლი გაგიცინებს დღეს, ხოლო პონტოსის ტალღა ჩვენს ზავთიან სიმღერას შეგაგებებს, ჩვენი ბაღჩების ვ რდი კი გაგიცინებს ნაზად, ვით ავთანდილი თინათინის შეყრის ჟამს...

— ო, მზევ, ჩვენც გვესტუმრე, ჩვენც მოგვეახლე!..

ვ. ლეონიძე.

## რუსეთის რევოლიუციონური მთავრობა და ფინეთი

აგერ მესამე დღეა, რაც ფინეთის ფინური და შვედური გაზეთები ერთხმად უკმაყოფილებას გამოსთქვამენ რუსეთის ახალ მთავრობის წინააღმდეგ. მიზეზი ამისა არის ერთი სენსაციური და თითქმის დაუჯერებელი ამბავი!.. **ხმა გავრცელდა, რომ რუსეთი ინგლისს უგირავებს ფინეთის კუნძულებს.** თითქოს ეს ამბავი არ სჯერათ, მაგრამ შესაძლებლად მიაჩნიათ და ამიტომ ფინეთის პრესას დიდი აღელვება და მოუსვენრობა ეტყობა. ეს საკითხი იმდენად საინტერესოა, რომ ქართველთა ყურადღებას არ უნდა იყოს მოკლებული. ქართველობამ უნდა ვიცოდეთ, რას აკეთებს ახალი, რევოლიუციონური მთავრობა?. რუსეთი დიდია და ეს ხელს გვიშლის თავის დროზე ვიცოდეთ და თვალყურს ვადევნებდეთ რუსეთის ახალ მთავრობის მოქმედებას. ფინეთის პრესა ერთხმად მოითხოვს, რომ პარლამენტმა (სეიმმა) საჩქაროდ ხმა აღიმაღლოს და მოითხოვოს რუსეთის მთავრობისგან ოფიციალი უარისყოფა ამ ხმებისა. როგორც ნამდვილად გავიგე ფინეთის სენატს უკვე ერთი სენატორთაგანი პეტროგრადს გაუგზავნია სიმართლის გასაგებად. ეს ნაბიჯი სენატისა არ ხდება საქვეყნოდ, რადგან სენატის საადმინისტრაციო ნაწილის წევრებში, რომელნიც არიან მინისტრები, არ არსებობს საგარეო საქმეთა განყოფილება და მისი მინისტრი. ფინეთის საზოგადოება ეჭვის თვალით უყურებდა რუსეთის ახალ მთავრობას და ეხლა მთლად ეჭვად იქცა. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ თვით დიდი აღტაცების დღეებში ფინები გულგრილად, აუღელვებლად, უენტუზიაზმოდ შეხვდენ ყოველივეს. აქ დიდი აზრის არ არიან რუსეთის რევოლიუციის შესახებ. ვისაც ხანგრძლივად უცხოვრია ფინეთში, დაჰკვირვებია ფინეთის ყოფა-ცხოვრებას, მათ დინჯ და აუჩქარებელ ხასიათს და გასცნობია მათ საერთო შეხედულებას რუსეთის შესახებ, ეს, ჩემმიერ გადმოცემული აზრი, არ გაუკვირდება. ფინთა ასეთ სიდინჯეს და აუჩქარებლობას არ შეიძლება კაცმა პატივი არა სცეს! მე მათ ჩრდილოეთულ სიდინჯეს თაყვანსა ვცემ, მით უფრო იმიტომ რომ, ვიცი რამდენი კეთილი საქმე გაფუჭებულა ჩვენს ბედოვლათ საქართველოში ნაჩქარევისა და აღფთოვანებულ მოქმედებით!. ეს ხდებოდა და ხდება ჩვენში არა ჩვენი უნიჭობით, არამედ მხოლოდ სიჩქარით!.. კიდევ ვიმეორებ, რომ ჩვენ ეს მოგვდის სიჩქარით და არა უნიჭობით, რადგან მე მწამს, რომ ქართველი ხალხი გაცილებით ნიჭის პატრონია ვიდრე ფინეთის ერი. ამისი თქმა იქნებ გაბედულიც იყოს, მაგრამ მე, როგორც ერთი აქ მცხოვრებთაგანი ქართველი და დაინტერესებული, ამაში დავრწმუნდი. მწამს, რომ ქართველობა ნიჭიერი ხალხია, მაგრამ მას აკლია აღზრდა, დაკვირვება, სადინჯე და გამოცდილება. სამწუხაროდ ეს ასეა და მტკიცედაც მჯერა. მოუბრუნდები ისევ წერილის საგანს. ფინეთის კუნძულთა დაგირავების საგანი, რასაკვირველია, დიდ—მნიშვნელოვანია და მალე ალბად, რუსეთის პრესის საკამათო საგნად იქცევა. აღძრულ საკითხის გასაცნობად, მკითხველთ გავაცნობ იმ საგაზეთო წერილს, რომელიც დაბეჭდილი იყო ფინურ გაზეთ „Husl Suometar“-ში და რომელიც მეტად საყურადღებო ცნობებს შეიცავს. დასახელებულმა ფინურ გაზეთმა თავის მხრივ ეს წერილი გადმობეჭდა სტოკჰოლმის შვედურ გაზეთ „Nya Dagligt Allehanda“-დან, რომელსაც ტელეგრაფით შეატყობინა საკუთარმა კორესპონდენტმა ბერლინიდან. მომყავს თვით წერილი: „წარსულ სამშაბათს—სწერს გუშინდელი ფინური გაზეთი „Unsi Suometar“-ი—ბერლინიდან ტელეგრაფით შეატყობინეს გაზეთ „Nya Dagligr Allehsnda“-ს შემდეგი: „გაზეთ Vossishe Geitung“-ის რედაქტორი მაქს ბერმანი ატყობინებს თავის გაზეთს სტოკჰოლმიდან შემდეგს: „მაქვს სრული საშუალება მოგცეთ დამატებითი ცნობები იმ ახალ ამბების შესახებ, რომელნიც აღელვებს აქაურ (სტოკჰოლმის) გაზეთებს და რომელნიც შეეხებიან წარსულ დიპლომატიურ მოლაპარაკებას რუსეთისა და ინგლისის შორის ზოგიერთ რუსეთის ტერიტორიის ინგლისისათვის იჯარით გადაცემას, საწინდრად იმ მილიარდისა, რომელსაც რუსეთი მიიღებდა ინგლისისაგან. ეს ახალი ამბავი უნდა ჩაითვალოს სარწმუნოდ, მიუხედავად უარყოფისა, რომელსაც, უნდა ვიფიქროთ, მოახდენს რუსეთისა და ინგლისის მთავრობანი. ეს მოლაპარაკებანი არ ახალია—ძველია. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პეტროგრადს ჩამოვიდა დასავლეთ სახელმწიფოთა კომისია, მილნერმა და რევოსტეკმა, თანახმად ინგლისის მთავრობის ბრძანებისა, მოსთხოვეს მაშინდელ რუსეთის მთავრობას **ესტლიანდიისა და ლიფლიანდიის** დაგირავება ინგლისისათვის, წინასწარ მილიარდიან სესხის მიღებისა.

ამას გარდა, ინგლისის მთავრობამ წინადადება მისცა რუსეთის მთავრობას—დაეთმო ინგლისისათვის ზოგიერთი **ხანაპირო ადგილები დ კუნძულები რიგისა და ფინეთის ყურეებისა,** რომელზედაც ინგლისს უნდა მოეწყო სადგურები ფლოტის სანაოსნოებისა. ეს კუნძულები ომის გათავების შემდეგაც უნდა დარჩენილიყო ინგლისის ხელში, როგორც მოიჯარადრისა. არ ვიცი რისთვის დამთავრდა უნაყოფოდ ინგლისისთვის მაშინდელი მოლაპარაკება!.. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ინგლისის დეპუტატები პეტროგრადიდან ისე წავიდნენ, რომ არავითარი ხელშეკრულება კუნძულების შესახებ არ წაუღიათ და, რომ მოლაპარაკება განახლდა რევოლიუციონურ მთავრობის აღორძინების შემდეგ! ამ ახალ მოლაპარაკებაში, ჩვენდა გასაოცრად, მონაწილეობას იღებს **ბუხანანს** გარდა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მინისტრი **ფრანკისი**, რომლის მონაწილეობა, ალბად, დღევანდლამდე გრძელდება!

დადებულია თუ არა ხელშეკრულება ესტლიანდიისა და ლიფლიანდიის დაგირავების შესახებ, ჩემმა ცნობის მომცემმა, რომელსაც აქვს საგანგებო ცნობის მოსაწოდებელი წყარო, ვერ შესძლო ეთქვა, მაგრამ სამაგიეროდ მან მომცა სწორი და დაწვრილებითი ცნობები იმ კუნძულების შესახებ, რომელსაც რუსეთი აპირებს დათმობას ინგლისის სასარგებლოდ.

მოლაპარაკების საგანია შემდეგი კუნძულები: **კოივისტო, ბერკესაარი და პიისპანსაარი,** რომელნიც მდებარეობენ ფინეთის ყურეს ნაპირების აღმოსავლეთით და კრონშტადტის ჩრდი-

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

პარასკევს, 21 აპრილს, საღამოს 8 ს. გაიმართება მეორე უბნის პარტიული კრება, ფრეილინის ქუჩაზე, სათავ.-აზნ. ბანკის შენობაში. კრებაზე დასწრების უფლება აქვთ პარტიის წევრებსა და თანამგრძნობთ. წაკითხულ იქმნება მოხსენებანი შესახებ პარტიის პროგრამისა და დღევანდელ ვითარებისა.

(3—654—1)

## განცხადება

### თბილისის სასტუმროების, მორთულ ოთახების, სასადილოების და სხვათა პატრონების

ურთიერთ დამხმარებელი საზოგ. გამგეობა, ამით აუწყებს თვის წევრებს, რომ

## საგანგებო კრება

არის დანიშნული 23-ს ამა აპრილს, 10 საათისთვის, დილით, თბილისის სამეურნეო ბანკში, სასახლის ქუჩაზედ. კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

**განსახილველი საგანი:** თხოვნა რამოდენიმე წევრისა: 1, შესახებ წარმომადგენლის დანიშვნისა თბილისის აღმასრულებელ და მუშათა კომიტეტებში; 2, შესახებ დროებით დათხოვნისა ს. ს. გოგიბერიასი გამგეობის წევრობიდან და 3, შესახებ რამოდენიმე მთხოვნელის წევრათ არ მიღებისა.

თავმჯდომარე გამგეობისა **ს. სიხარულიძე.**

(1—607—1) საქმის მწარმოებელი **ი. რაზმაძე.**

ლოეთ-დასავლეთით; ამას გარდა— **ლავანსაარი და სურსაარი**, რომელნიც მდებარეობენ კრონშტადტის დასავლეთით, კუნძულ **ნაარისაარი** და **ოსმანსაარი** მდებარენი ბალტიის პორტის ორივე ნაპირზე, **აბოს** სამხრე- [illegible]

[illegible] ფინოს შორის მსროლელ ზარბაზნებით და ჰაეროპლანებისა და წყალქვეშა ნავთა სადგურებით, სადაც ინგლისმა უნდა გაგზავნოს საკმაო რიცხვი ჰაეროპლანებისა და წყალქვეშ მავალ-ნავებისა.

ბალტიის ზღვის ფლოტი, რომელიც იმყოფებოდა, დღიდან ომის გამოცხადებისა, ინგლისელთა განკარგულება— სარდლობის ქვეშ, უნდა შეამსოს ინგლისმა ოფიცრებით, საფლოტო ინჟინრებით და მატროსებით. ომის დამთავრების შემდეგ დასახელებული პუნქტები დარჩება ინგლისელთა ხელში, რომელნიც ყოველ წლივ გადუხდიან რუსეთს საიჯარო გადასახადს. ვადა და საჯარო გადასახადის რაოდენობა გადაწყდება მომავალში. აქედან გამოირიცხებიან ის კუნძულები, რომელნიც მდებარეობენ ჰელსინგფორსის აღმოსავლეთით და, რომელნიც ომის დასრულების შემდეგ დაუბრუნდებიან რუსეთს მთელის ინგლისელების მიერ გამაგრებულის ადგილებით. საგირაო უფლება, ყოველ შემთხვევაში, ძალას ჰკარგავს [illegible]

[illegible] ლიან საქვეთა, რომ ასეთ ხელშეკრულების შედეგმა რაიმე გავლენა იქონიოს ეხლანდელ სამხედრო და სტრატეგიულ მდგომარეობაზე. ჩვენთვის სულ ერთია, ვინ იქნება მფლობელი იმ ადგილებისა, რომელნიც მდებარეობენ კუნძულ **ეზელსა** და კრონშტადტს შორის. ჩვენთვის სულ ერთია ინგლისელთა ზარბაზნები დაგვიშენენ თუ რუსეთის ფინეთისა და ესტლიანდიის ბატარეები. არც ის გვავიწყდება, რომ საჭირო სიმაგრეები და სანაოსნო სადგურები ერთ ღამეში ვერ შეიქმნებიან.

ჩვენს ეჭვს უფრო ის გარემოება იწვევს, რომ ამ მოლაპარაკებაში ჩრდილოეთ ამერიკის შტატების მინისტრი იღებს მონაწილეობას!?. ამისთანა პირობებში ძალაუნებურად გაგონდება „ტიპიური ამერიკული ამაყი სიტყვები, **წარმოთქმული** ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების წინანდელ პეტროგრადელ დესპანის მისტერ **მარიუკხის** მიერ: „გერმანეთის გასანადგურებლად საჭიროა, რომ ინგლის—რუსეთის ზარბაზანთა ხმა აღმოსავლეთით— შეუერთდეს ინგლის-ამერიკის **ზარბაზანთა** ხმას დასავლეთიდანო“—გაცილებით დიდმნიშვნელოვანი იქნება ასეთი ხელშეკრულება ომის **დამთავრების** შემდეგ, თუ მართლა ეს გზის შემკვრელი საბლოკადო ხაზი **აბოდან** ვიდრე **ეხლამდე** მოყოლებული ინგლისელთა ხელში გადავა,—რუსეთი მოწყვეტილი იქნება ბალტიის ზღვას, გერმანია მუდმივ ინგლისელთა მუქარის ქვეშ იქნება და სვერიგეთი აღმოჩნდება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რიცხვიდან გამორიცხულადო“ ასეთია ის სენსაციური ამბავი, რომელიც მთელ ფინეთს აღელვებს!

**დათიკო ჩიქოვანი.**

18/IV ჰელსინგფორსი.

# რევოლიუცია

## დეპეშები

**აპრილის 16.**

**ფრონტის კრება.**

**მინსკი.** ილაპარაკა მღვდელმა ელაშენცევმა. წარმოსთქვა ცხარე სიტყვა. მოითხოვა ეკლესიების და საყდრების სიმდიდრე ომისა და თავისუფლების საქმეს მოხმარდესო. მოიკრიბოს ოქროს ჰურჭელი, ჯვრები, სახარებებს ოქროს ყდები აეხსნას და სამაგიეროდ ხისები გაუკეთდეს; ეკლესიებს ოქროს გუმბათები მოეხსნას, და სამაგიეროდ შავი რკინისა დაეხუროს თავისუფლებისათვის დახოცილებზე გლოვის ნიშ- [illegible]

[illegible] ვისუფლების სესხს“ ხელი უნდა მოაწეროს და ძვირფასი გულის ჯვრები და ნიშნების ბეჭდები უნდა მოიხსნას და სულყველაფერი ეს უნდა გადაიდოს თავისუფლების გასაძლიერებლად და ომის დასაბოლოვებლადო.—მღვდელმა თითონ მოიხსნა თავისი გულის ჯვარი და პრეზიდიუმს გადასცა. მღვდელს ოვაციები გაუმართეს.

**მუშათა დეპუტატების საბჭოს რეორგანიზაცია.**

**პეტროგრადი.** აპრილის 12, კრებაზე ლაპარაკი აღიძრა საბჭოს რეორგანიზაციის შესახებ. გადასწყდა საბჭომ გამოჰყოს მეორე საბჭო, უფრო მცირე, მაგრამ ამ მცირე საბჭოში 600-ზე მეტი კაცი არ უნდა იყოს.

**კოლონტაი და მუშათა საბჭო.**

**პეტროგრადი.** მუშათა საბჭოს კრებაზე ლაპარაკი იყო „თავისუფლების სესხის“ შესახებ. მენშევიკებმა მოითხოვეს ამ საკითხს ცალკე კრება მოვანდომოთო. „ბოლშევიკები“ თხოულობდნენ ეს საკითხი ეხლავე განვიხილოთო. „ბოლშევიკების“ მხრით ილაპარაკა მწერალმა ქალმა კოლონტაიმ, ლენინის მომხრემ, რომელმაც წამოაყენა ლოზუნგი „ძირს ომი“, ბურჟუაზიული და კაპიტალისტური მთავრობაო, მას ერთი კაპიკიც არ მივცეთო“. ორატორ ქალს უპასუხა სალდათმა, რომელმაც სთქვა, ვინც იმას ამბობს, რომ მთავრობას ფული არ მივცეთ, იმასაც ამბობს, რომ ჯარს არც თოფი მივაწოდოთ და არც ტყვია-წამალიო. ამის შემდეგ კოლონტაიმ თავისი რეზოლიუცია უკან წაიღო.

**საერობო რეფორმა.**

**პეტროგრადი.** საერობო რეფორმის კომისიამ გადასწყვიტა, რომ სამაზრო საერობო ერთეულებად გამოსაყოფ ქალაქთა სიაში უნდა შევიდნენ ყველა საგუბერნიო ქალაქებიო, დანარჩენ ქალაქებში კი მხოლოდ ისეთი ქალაქები, რომლებშიაც 50000 [illegible]

[illegible]

**ჯარების გაგზავნა ფრონტზე.**

**მოსკოვი.** ამ უკანასკნელ დღეებში ფრონტზე მრავალ ჯარსა ჰგზავნიან. ჯარს დიდებით აცილებენ. ამაში საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლნიც იღებენ მონაწილეობას.

**აპრილის 17.**

**დროებითი მთავრობის განკარგულებანი.**

**პეტროგრადი.** დროებითმა მთავრობამ დაადგინა: 1) ეხლავე განთავისუფლებულ იქმნენ ჯარის-კაცობიდან ის პირნი, ვინც 43 წლისაზე მეტია და მსახურებს ჯარში, სამმართველოებში, დაწესებულებებში, და სხვ. ეს განთავისუფლება მოხდეს იმ წესით, რა წესსაც უმაღლესი მთავარსარდალი დააწესებს. მაგრამ ეს ისე უნდა მოხდეს რომ ლაშქრის ძალა არ შესუსტდეს. 2) პირველ მუხლში აღნიშნული წესები სახელმძღვანელოდ იყოს ამ ომის დროს სამერმისოდაც და სალდათების მიმართ, ვინც 43 წლისა გახდება. 3) როცა სოფლის სამუშაოს მეტად მწვავე მომენტები მოელის, გაიწვიონ ის თეთრ-ბილეთებიანები, რომლებიც 43 წლის არ არიან და რომლებიც ჯერ არ გაუსინჯავთ; 4) როცა სოფლის საქმეები გათავდება ჯარშივე დაბრუნებულ იქმნენ ის თეთრ-ბილეთიანები რომლებიც გაწვეულნი არიან, მაგრამ სოფ. საქმეებისათვის დათხოვნილნი არიან.

**პირველი მაისობა.**

**პეტროგრადი.** დროებითმა მთავრობამ დაადგინა, რომ წელს 18 აპრილი (პირველი მაისი) სახელმწიფოში უქმე დღეთ იყოს გამოცხადებული.

**ქალთა უფლებები.**

**ოდესა.** ნაფიც ვექილთა საბჭომ ვექილთა სიაში 7 ქალი ჩარიცხა ნაფიცვექილთა თანაშემწედ. ერთი მათგანი სასამართლოში უკვე გამოვიდა.

**ფრონტის კრება.**

**მინსკი.** 15 აპრილი. საფრონტო კრებამ დაადასტურა დასავლეთ ასპარეზის ორგანიზაციის გეგმა. არმიის ჩინები ამიერიდან შეერთდებიან ჯარისკაცთა სახელით. ოფიცრის სახელწოდება გაუქმებულია. ორგანიზაციას მიზნად აქვს დასახული ემსახუროს ჯარისკაცთა პროფესიონალ და საზოგადოებრივ საჭიროებათ. ხელმძღვანელობა გაეწიოს მათს პოლიტიკურ მოქმედებას; ჯარისკაცთა ორგანიზაციები შეკავშირებულ იქმნებიან გლეხებთან და მუშებთან. სხდომა საჭიროდ ჰსცნობს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ყრილობა მოიწვიოს, ხოლო ასპარეზის კომიტეტს მიენდოს დისციპლინალურ ორგანოთა შედგენა, რომელიც არჩევნებითი საფუძველზე იქნება დაარსებული:

**დამფუძნებელი კრება.**

**პეტროგრადი.** დროებით მთავრობის იურიდიულმა საბჭომ შეიმუშავა დროებითი სია იმ საჭირო საკითხებისა, რომლებიც დამფუძნებელ კრებას და საარჩევნო კანონის შემუშავებას შეეხება. სია დაეგზავნა ყველა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც იურიდიულ საბჭოში მონაწილეობენ, ამ კანონის შემუშავებაშიო. კომისია მუშაობას მალე შეუდგება.

**ყაზახთა დადგენილება.**

**დონის როსტოვი.** დონის ყაზახთა კრებამ დაადგინა; რუსეთი მთლიანი და განუყოფელი დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა იყოს ეროვნებათა ფართე ადგილობრივ თვითმმართველობითაო; საყოველთაო სამხედრო ბეგარა უნდა მოისპო. ყაზახებმაც საერთო წესით უნდა მოიხადოს სამხედრო ბეგარა; კერძო მემამულეთადიდი მამულები ძალით უნდა ჩამოერთვათ მესაკუთრეებს სამართლიანი ფასით. მიწა უნდა განაწილდეს ყაზახებსა და გლეხებს შორის. საუფლისწულო, სამინისტრო და სახელმწიფო მიწები ჯარს უნდა გადაეცესო.

## ეროვნული საკითხი

(დეპეშა)

**14 აპრილი**

**ყირიმელი თათრები**

**სევასტოპოლი.** დაარსდა თათრების სახალხო პარტია, რომელიც ყირიმის ავტონომიასა თხოულობს.

**უკრაინა**

**ციურიხი.** უკრაინელთა საპარლამენტო მისია პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ გალიციის ავტონომია უკრაინელთა მიწა-წყლის ხარჯით გაფართოვდეს. ეს უკრაინელთა ცხოველ ინტერესებს ემუქრებაო. ავსტრიის კონსტიტუცია მხოლოდ პარლამენტარულ წესით უნდა შეიცვალოს და მონარქიის ერთა თავისუფალ შეთანხმებითაო.

**ირლანდია**

**ნიუ-იორკი.** შეერთებულ შტატების ფედერატიულმა მთავრობამ ინგლისის მთავრობას არა ოფიციალად შეუთვალა, მოკავშირეთა საქმე უფრო კარგად წავა, თუ ირლანდიას ჰომრული მიენიჭება.

# ომი და ზავი

## დეპეშები

**მთავარ ბანაკის ცნობა.**

**16 აპრილი.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის და რუმინეთის ასპარეზზე ჩვეულებრივი სროლა და ზვერვაა.

**კავკასიის ასპარეზი.** ერზინჯანის მიმართულებათ ოსმალებმა აქტიური მოქმედება დაიწყეს ერზინჯანის აღმოსავლეთით. ქელერუამი—აგირ-ბაბა მაზრაასი—ბელმერის ხაზზე მათ გამოდევნეს ჩვენი მოდარაჯენი და ბელუმერის მიდამოებში მაღლობი აიღეს. ვანის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქურთების დახმარებით ოსმალებმა შემოგვიტიეს და ჩვენს ხელში მყოფი მაღლობების ნაწილი აიღეს. სამაგიერო იერიშით მდგომარეობა აღვიდგინეთ.

**პეტროგრადი.** 17 აპრილი. დასავლეთის და რუმინეთის ასპარეზზე ჩვეულებრივი სროლა და ზვერვაა.

**კავკასიის ასპარეზი.** ბელუმერთან, ერზინჯანის სამხრეთ-აღმოსავლეთით 60 ვერსზე, ჩვენმა ჯარმა აიღო მაღლობი, რომელიც წინა დღით დავკარგეთ. ტაკე პინარისთან, ბელუმერის ჩრდილო-დასავლეთით 3 ვერსზე, ქურთების შემოტევა მოვიგერიეთ. დანარჩენ ბრძოლის ხაზზე სროლა და ზვერვაა.

**საფრანგეთი**

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. რეიმსის ჩრდილო-დასავლეთით და შამპანში ორივე მხარე ზარბაზნებს უშენდით ერთმანეთს. ქვეითა ჯარის ბრძოლა კი არა ყოფილა.

მფრინავთა მოქმედება. 13 აპრილს გერმანელების 3 საფრენი ჩამოვაგდეთ, 6 საფრენი დაზიანებული იძულებული იყო ძირს დაშვებულიყო. 14 აპრილს რიმემონის და კრესის მიდამოებში ჩვენმა მფრინავებმა მტრის ბანაკს და სადგურებს ბევრი ყუმბარები დაუშინეს.

**ინგლისი**

**ლონდონი.** ოფიც. ცნობა მახლობელ აღმოსავლეთისა. 12 აპრილს ღამე მტერმა ზედიზედ ორჯელ მოიტანა მედგარი იერიში ვარდარიდან დოირანამდე. ორივე იერიში მოვიგერიეთ და ამ ადგილებში ვმაგრდებით.

**ლონდონი.** ოფიც. ცნობა მესოპოტამიის ასპარეზისა. 11 აპრილს ღამე ოსმალების მე-13 კორპუსმა სწრაფად დაიხია უკან შატ-ელ-ახეიმის ორივე [illegible]

## საქართველოს ავტონომია

(გაგრძელება)

ჩამოვთვალოთ დაახლოვებით ეს საერთო ინტერესები და საჭიროებანი. ესენი თითქმის ყოველგან ერთნი და იგივენი არიან:

თავდაპირველად უნდა მოვიხსენიოთ დაცვა მთელ სახელმწიფოს საზღვრებისა. რასაკვირველია, თუ სახელმწიფოს არ ეყოლება საკმაო ჯარი, არ ექმნება საკმაო თოფი, ზარბაზანი და სხვა სამხედრო იარაღი, თუ არ ექნება ციხე-სიმაგრეები და სხ.—აშკარაა, ასეთი სახელმწიფო დიდხანს ფეხზე ვერ დადგება და ადვილად შეიძლება დაიპყროს სხვა სახელმწიფომ. აქ ხიფათი მთელის ყველასი, და ამიტომ ჯარი და მისი მოწყობილება შეადგენს საერთო და საყოველთაო ინტერესს.

არც ერთი სახელმწიფო არ არის გამოთიშული კაცობრიობისაგან. სახელმწიფოები ბევრია ქვეყანაზე და იმათს შორის სხვა და სხვა გვარი ურთიერთობა მუდმივია და განუწყვეტელი. არის მისვლა-მოსვლა, ვაჭრობა და აღებ-მიცემობა. თითეული ჩვენგანი შეიძლება წავიდეს საზღვარ-გარეთ, უცხოელები მოდიან ჩვენში და სხვა. ამ ურთიერთობის მოწესრიგება, მოლაპარაკება სხვა სახელმწიფოებთან, სხვა და სხვა პირობა და ხელშეკრულობა იმათთან,—ყოველივე ეს ინტერესია საერთო და საყოველთაო.

ამ საერთო საჭიროების გასაძლოლათ და დასაკმაყოფილებლათ სახელმწიფოს სჭირია ფული. შენახვა უნდა ჯარსა, ციხე-სიმაგრეებს აშენება, მოხელეებს—ჯამაგირი, შარაგზებს—გაყვანა და სხ. და სხ. სახელმწიფო ხარჯი ძალიან დიდია. ეს ხარჯი უნდა გამოიღოს მცხოვრებმა. ესეც ინტერესია, ან, უკეთ, რომ ვსთქვათ, ვალდებულება საერთო და საყოველთაო.

სამხედრო საქმესთან და ეკონომიურ ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებულია რკინის გზები, ტელეგრაფი და ტელეფონი. მე ვამბობ იმ რკინის გზებზე, რომლებსაც საერთო მნიშვნელობა აქვსთ, და არა მხოლოდ ადგილობრივზე; აგრეთვე ტელეგრაფი და ხშირად ტელეფონიც გადადის სხვა და სხა ტერიტორიაზე და აერთებს სხვა და სხვა მხარეს. მათი ერთნაირად მოწყობა, ერთნაირი ტარიფი, ერთნაირი წესი და რიგი დიდად საჭიროა და ყველასათვის ხელსაყრელი.

აგრეთვე საერთო და საყოველთაო მნიშვნელობა აქვს ერთნაირ ფულს, ერთნაირ ზომისა და სასწორის შემოღებას. იგი აადვილებს ვაჭრობას და ეკონომიურ ურთიერთობას.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სამხედრო ფლოტს და სავაჭრო მეზღვაურობას. დანიშნულება როგორც ერთისა, ისე მეორისა არის დაცვა და განვითარება საეკონომიო ცხოვრებისა. აქაც ინტერესი საერთოა და საყოველთაო.

საზოგადოდ ის კანონმდებლობა, რომელიც შეეხება მთელს სახელმწიფოს და მის საერთაშორისო ცხოვრების მოწესრიგებას, უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე მთელ სახელმწიფოს წარმომადგენლობას. ასეთია, მაგალითად, სისხლის სამართლის ზოგიერთი კანონები, საბანკო და სავექსელო წესდებანი, დაცვა ავტორის უფლებისა, სამრეწველო ნიშნებისა და სხვა. აქაც ინტერესი საერთოა და საყოველთაო.

ერთის სიტყვით, ყოველი საქმე და საკითხი, რომელიც შეეხება საერთო და საყოველთაო ინტერესს, ცალკე გამოყოფილია თითეულ შტატის ან კანტონის კომპეტენციისაგან. შტატს ან კანტონს არა აქვს უფლება შეეხოს იმათ, აწარმოვოს ისინი. თითეულ შტატს ან კანტონს, როგორც წინეთ მოგახსენეთ, სრული ნება აქვს მოაწყოს და მოაწესრიგოს ყოველი ადგილობრივი საქმე და საგანი, ყველაფერი, რაც თვითონ მას შეეხება და არა ჰსცილდება მის საზღვრებს. ზეჩამოთვლილი საქმეები, კი შეეხება ყველას იქ ინტერესი საერთოა და საყოველთაო და ამიტომ მათი საწარმოებლად და გადასაწყვეტად საჭიროა არა ერთის შტატის ან კანტონის მთავრობა, არამედ ყველა შტატების ან ყველა კანტონების მთავრობა და წარმომადგენლობა.

ამ სახელმწიფოებსაც სწორედ აგეთი აგებულობა აქვთ. ისინი წარმოადგენენ თითქო ორ-სართულიან შენობას. პირველ სართულს შეადგენენ შტატები ან კანტონები, მეორე სართულს—ყველა შტატების ან კანტონების მთავრობა და წარმომადგენლობა. პირველ სართულში საბოლოოდ ჰსწყდება ყოველი ადგილობრივი საქმე და საკითხი, მეორე სართულში— ყოველი საერთო და საყოველთაო ინტერესი.

ჩამოვთვალოთ კიდევ ეს საერთო ინტერესი:

1, საერთაშორისო წარმომადგენლობა.

2, ჯარი და სამხედრო ფლოტი.

3, გადასახადი და სადამოჟნო ბაჟი;

4, სისტემა ფულის, ზომისა და სასწორისა;

5, რკინის გზები, ტელეგრაფი და ტელეფონი;

6, სავაჭრო მეზღვაურობა;

7, სავაჭრო, საბანკო და სავექსელო კანონმდებლობა, და სხვანი.

ვამბობ—და სხვანი მეთქი, იმიტომ, რომ დაწვრილებით ჩამოთვლა ყველა ამ საგნებისა საჭიროდ არ მიმაჩნია. ზოგიერთ სახელმწიფოში ეს საერთო საქმეები უფრო ბევრია და უფრო ვრცელი, ზოგიერთში უფრო შეზღუდულია.

ჩვენთვის საჭიროა მხოლოდ გავითვალისწინოთ თვითონ გეგმა ამ სახელმწიფოებრივ აგებულებისა. გეგმა მე კი მგონია, ეხლაც მკაფიოდ მოხაზულია: შენობა არის ორ-სართულიანი. ქვევით მოქცეულია პატარ-პატარა თავისუფალი სახელმწიფოები (კანტონები ანუ შტატები), ზევით— მათი საერთო მთავრობა და წარმომადგენლობა.

არ ვიცი, რუსეთი რა სახელმწიფოებრივ სახეს მიიღებს ბოლოს და ბოლოს. ეს დამოკიდებულია დამფუძნებელ კრების სურვილზე. მაგრამ რაც გინდა იყოს, მაინც საერთო თავისუფლებისთვის აუცილებლივათ საჭიროა ზემოყვანილ პრინციპის გატარება.

აქ ჩვენ ვუახლოვდებით საქართველოს საკითხს.

შეიძლება რუსეთში ფედერატიული წეს-წყობილება არ დამყარდეს. ამისათვის, როგორც ვთქვი, საჭიროა რუსეთის დანაწილება პატარპატარა თავისუფალ სახელმწიფოებად, შტატებად ან კანტონებად. შეიძლება ეგ რუსეთში ვერ მოხერხდეს. მაშინ? მაშინ ავტონომია მაინც აუცილებელია.

რა განსხვავებაა ავტონომიასა და შტატს შუა? ავტონომიასა და კანტონს შუა არსებითად განსხვავება იმათს შორის არაფერია. ყოველი შტატი ან კანტონი წარმოადგენს ავტონომიურ ერთეულს, ე. ი. თავის შინაურ საქმეებში იგი სრულებით თავისუფალია. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ თვითმართველობა ყოველ შტატისა ან კანტონისა ყოველგან ერთნაირია, ერთ და იმავე შინაარსისა (კომპეტენციისა). შტატები ან კანტონები უფლებრივად თანასწორნი არიან. ეს კი არ ითქმის ავტონომიაზე. უფლებრივად ავტონომია ერთ-მეორესთან არ არის თანასწორი. ერთი ავტონომია შეიძლება იყოს ძალიან ვრცელი, მეორე—ძალიან შეზღუდული. ზოგი ავტონომიის უფლებრივი მდგომარეობა უახლოვდება თითქმის სრულებით თავისუფალ სახელმწიფოებს, ზოგი კი ისეა შეზღუდული, რომ თითქმის უბრალო ერობისაგან არ განირჩევა. პირველის მაგალითია ინგლისის კოლონიები (კანადა, ავსტრალია, სამხრეთ-აფრიკა, ნიუ-ზილენდი და სხვა) მეორის—ავსტრიის ზოგიერთი პროვინციები (ჩეხია, გალიცია და სხვ.).

არის მეორე განსხვავებაც. ფედერატიულ სახელმწიფოებში საერთო და საყოველთაო საქმეები გამოყოფილია თითეულ შტატების ან კანტონების უფლებისაგან და გადაცემულია საერთო გამგეობის და კანონმდებლობის ხელში. ავტონომიის შესახებ კი ეს საკითხი თითქო უკუღმა ჰდგას: ადგილობრივი საქმეები აღნუსხულია და გამოყოფილი სახელმწიფო უფლებისაგან და გადაცემული აქვს ავტონომიას. ეს ყოველთვის აგრე არ არის, მაგრამ უფრო ხშირად აგრე ჰხდება.

აქედან სჩანს, რომ ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია ავტონომიის მოთხოვნა, ვიდრე ფედერატიულად გარდაქმნა მთელის რუსეთისა. რუსეთი ფედერაციას არ წარმოადგენდა, მაგრამ ფინლიანდიამ მიიღო ავტონომია, მიიღო ესტლანდიამაც, დღეს თუ ხვალ მიიღებს უკრაინა... აბა რა ჭკუაა ქართველებისათვის არ მოითხოვონ ავტონომია და გელოდნენ იმ მომენტს, როცა რუსეთი გარდაიქმნება ფედერაციად?

ნუ გვავიწყდება, რომ რუსეთთან ჩვენა გვაქვს ხელშეკრულობა 1783 წლისა).

**გიორგი გვაზავა.**

(შემდეგი იქნება)

ნაპირიდან ჯებალ-ხამრინის მიმართულებით, საიდანაც რამდენიმე დღის წინედ ჩვენ გამოვედით. ჩვენ კვლავ ხელთ ვიგდეთ 20 ტყვე. 13 აპრილს, მდ. ტიგრისზე ოსმალებმა შესაფერხებლად შემოგვიტიეს, გენერალ მოდის, რომელიც ოსმალთა მე-18 კორპუსის წინააღმდეგ მოქმედებდა. ოსმალთა ჯარი ჯებელ ხამარინის ბორცვებზე თხრილებს იმზადებს, ჩვენი ჯარი მას ებრძვის.

**ლონდონი.** ოფიც. ცნობა საფრანგეთის ასპარეზზე მომქმედ ინგლისელთა მთავარ ბანაკისა. წუხელ მტერმა პატარა იერიში მოიტანა სენკანტენის ჩრდილოეთით და დასავლეთით. ცხარე ბრძოლის შემდეგ, დაზარალებული მტერი მოვიგერიეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. ლანქევლუის აღმოსავლეთით გუშინდელ მტერი უწესრიგოდ გაიქცა, ადგილობრივ დასტოვა თოფები და სამხედრო ხელსაწყო. არას-კემბრეს გზისა და ქედას მიდამოებში, რომელიც რატის ჰყოფს გრამელისაგან, მარჯვეთ შევუტიეთ მოპირდაპირეს და მნიშვნელოვანი ადგილები დავიჭირეთ. ლანსის ჩრდილო-დასავლეთით გერმანელების დაუდასხმა ტყვიის მფრქვეველებით მოვიგერიეთ.

# გაზეთებიდან

**გრაფ ჩერნინის განცხადება.**

ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრს გრაფ ჩერნინს და ოფიციოზ გაზეთის „Jrendenblatt“-ის რედაქტორს შემდეგი საუბარი ჰქონიათ. რომელსაც „რ. ვ“-ი გადმოგვცემს.

**რედაქტორს** უკითხავს: რითი დაბოლოვდება რუსეთის რევოლუცია?

**ჩერნინი.** წინასწარმეტყველებას ვერ ვიკისრებ, მაგრამ თუ რუსეთში ძველი წესწყობილების ცვლილება იმ დასკვნამდე მიიყვანს, რომ რუსეთის იმპერიის გაწამებულ ეროვნებათათვის ომის განგრძობა დანაშაულიბაა მაშინ მოკავშირეთაც ყოველ დღე შეუძლიანთ საპატიო ზავის შეკვრა ცენტრალ სახელმწიფოებთან და ხალხის საშინელ ძლეტასაც ბოლო მოეღებოდა. ჩვენი შემუსვრა არ შეუძლიანთ, მაგრამ არც ჩვენ გვინდა მათი შემუსვრა.

**რედაქტორი.** სამშვიდობო კონფერენციაზე ყველა მებრძოლი სახელმწიფონი გაგზავნიან წარმომადგენლებს?

**ჩერნინი.** რა თქმა უნდა. ვინც ომის გაგრძელების მომხრეა, ეს ხელს არ შეუშლის, რადგანაც სამშვიდობო მოლაპარაკების დროს ომი თავის გზით იწარმოებს და უკეთუ შეთანხმება ვერ მოხდა, ომი კვლავ გაგრძელდება.

**რედაქტორი.** შესაძლებელი არ არის ჩვენი ზავის პირობები გამომჟღავნდეს?

**ჩერნინი.** მე უკვე საჯაროდ განმიცხადებია რომ ჩვენ მოგერიების ომს ვაწარმოებთ. ომის მიზანია ჩვენი სახელმწიფოს თავისუფალ და შეუფერხებულ განვითარების უზრუნველყოფა. ჩვენ უნდა მივიღოთ გარანტია ჩვენი ხელშეუხებლობისა და არსებობისა. რა წამს მოპირდაპირენი ხელს აიღებენ ჩვენი შემუსვრის ოცნებობაზე, რაწამს მზად იქნებიან ჩვენთან ორივე მხარისათვის საპატიო ზავის დადებაზე მოსალაპარაკებლად, ზავზე მოლაპარაკებას არავითარი დაბრკოლება აღარ გადაეღობება.

# ახალი ამბავი

◆ **ეპისკოპოს კირიონის კანდიდატურა.** „ვოზროჟდენიეს“ პეტროგრადიდან ატყობინებენ, რომ ადგილობრივ პროფესორთა და საეკლესიო კანონისტთა კორპორაციას პეტროგრადისა და ლადოგის მიტროპოლიტის კათედრაზე წამოყენებულია კანდიდატურა ვიტებსკისა და პოლოცკის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო კირიონისა. უწმ. სინოდის ობერ-პროკურორს ლვოვს უკვე შეუძლევია ეს კათედრა ეპ. კირიონისათვის. მაგრამ ყოვლად სამღვდელოს ჯერ გადაწყვეტილი პასუხი არ მიუცია.

◆ **მაისობა.** დღეს, 18 აპრილს (ახალი სტილით 1 მაისი) თბილისის მუშები დიდ დღესასწაულს გადაიხდიან. თბილისის ყველა უბნიდან, შემუშავებულ ცერემონიალის თანახმად დღესასწაულის მონაწილენი ნაძალადევში მოიყრიან თავს, სარევოლიუციო მოედანზე. კრება დამთავრდება ნაშუადღევის 2 საათზე. შემდეგ ხალხი დაიშლება და დღესასწაული გაიმართება უბნებში. ცერემონია ყველგან უნდა დასრულდეს არა უგვიანეს საღამოს 8 საათისა, რათა ღარიბი ხალხი, რომელთაც სადილი შინ არ უმზადდებათ, მშივრები არ დარჩეს, სასურველად იქნა აღიარებული, რომ სასადილოები ნაშუადღევის 3 საათიდან გაიღოს, ხოლო მზარეულებმა დილიდანვე დაამზადონ სადილი.

◆ **კაკი წერეთლის წინადადება დროებითი მთავრობის მიმართ.** თფ. მუშათა და ჯ.-კაცთა დეპუტატების საბჭოს წინადადებით კაკი წერეთელმა ინახულა დროებითი მთავრობა და მოსთხოვა მას, რომ ადგილობრივი რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან მოულაპარაკებლათ არ გადადგას არც ერთი სერიოზული ნაბიჯი. მთავრობამ აღუთქვა ამ მოთხოვნილების შესრულება. ამიერიდან არც ერთი სერიოზული ეკონომიური, პოლიტიკური ზომა არ იქნება განხორციელებული, თუ წინასწარ არ იქნა განხილული მუშათა და ჯ.-კაცთა საბჭოების და აგრეთვე სხვა რევოლიუციონური ორგანიზაციების მიერ.

◆ **შეწირულება.** ქუთაისის საურთიერთო საკრედიტო განყოფილებამ ორას-ორასი თუმანი გადასდვა სოც.-დემოკრატიულ, სოც.-ფედერალისტურ და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიების სასარგებლოდ და ასი თუმანიც საქართველოს საკათალიკოსო დროებით მმართველობის ხარჯებისათვის.

◆ **საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** მართავს კრებას მეორე საკომისარო უბნის (ყოფილი მეორე საპოლიციო უბანი) მცხოვრებლებისას 21 აპრილს (პარასკევს) საღამოს 8 საათზე ფრეილინის ქუჩაზე, სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში. სასურველია მობრძანდნენ ყველა თანამგრძნობნი და პარტიის წევრები. კრების საგანია პარტიის პროგრამის მოხსენება და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა (ადგილობრივ კომიტეტის არჩევა და სხვა).

◆ **დიაკვან-მედავითნეთა კავშირი.** 13 აპრილს, ქალაქ თბილისის ეკლესიების მედავითნეებმა, დიაკვნებმა და მათს ადგილებზე მყოფმა მღვდლებმა შეკრეს პროფესიონალური კავშირი თავის ინტერესების დასაცველად. თავის წარმომადგენელი დიაკონი ტ. ბაკურაძე გაგზავნეს თავის ხარჯზე თელავის, სიღნაღის და თიანეთის მაზრებში, რათა მან შეადგინოს ადგილობრივ საეკლესიო დაბალ მსახურთა შორის მსგავსი კავშირები თავის ყოფა-ცხოვრების მოსაგვარებლად. ეს კავშირები წარმოადგენენ ფილიალურ კავშირს თბილისის მედავითნეთა კავშირისას.

◆ **„ახალი საკრებულო“** (წინად **სარფუხის კლუბად წოდებული**) მამასახლისთა საბჭომ განცხადება წარუდგინა თბილისის ოლქის სასამართლოს პროკურორს და სთხოვა, სასტიკი გამოძიება მოახდინეთ კლუბის ბინაზე ცეცხლის გაჩენის გამო, 11 აპრილს, რადგან, მამასახლისთა აზრით, ცეცხლი ბოროტის განზრახვით გაუჩინეს შენობასო.

◆ **სომეხთა ყრილობა.** ამ ხანად სომხებს გაცხარებული წინასწარი მუშაობა აქვთ რუსეთის სომეხთა კრების მოსაწვევად. ეს კრება მოკლე ხანში მოხდება. კრებაზე ოსმალეთის სომხებიც მიიღებენ მონაწილეობას სათათბირო ხმით. პარტიების წარმომადგენლებს ერთმანეთთან მოლაპარაკება აქვთ საერთო პლატფორმის შემუშავების შესახებ.

◆ **მაჰმადიანთა ყრილობა.** ამიერ კავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ბაქოში მუსულმანთა ყრილობას.

◆ **უხორცობა.** მუშათა დეპუტატების საბჭომ მსჯელობა იქონია უხორცობისაგან გამოწვეულ კრიზისს და მიანდო აღმასრულებელ კომიტეტს, ამ საკითხის შესახებ ცნობები მოითხოვეთ სათანადო ორგანიზაციებისაგანო.

◆ **იალტის ამბები.** თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭომ, გაიგო-რა, რომ იალტაში ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვთან თავს იყრიან ძველი რეჟიმის მოტრფიალენიო, დაადგინა მასწეროს დროებით მთავრობას, ეს მოვლენა გამოიძიეთ და დიდი ყურადღება მიაქციეთო.

◆ **აგრონომების დადგენილება.** 15 აპრილს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში აგრონომები შეიკრიბნენ 61 კაცამდე და გადასწყვიტეს შეადგინონ კავშირი. ამ კავშირს უნდა ჰქონდეს წმინდა პროფესიონალური ხასიათი, და არა პოლიტიკური. არჩეულ იქმნა დროებითი საორგანიზაციო ბიურო, რომელშიც შედიან ს. ტიმოფეევი, ი. ფირუმოვი, გ. სოკოლოვი, პ. მედვედევი და ლებედევი; მათს კანდიდატებად ს. ყაზახაშვილი და ნ. როჟნოვი. ბიუროს დაევალა კავშირისათვის წესდების პროექტის შემუშავება.

◆ **მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტი პაპაჯანოვთან.** ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის წევრს პაპაჯანოვს წარუდგა მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის წევრთა მიერ არჩეული საგანგებო კომისია და მოახსენა კომიტეტის კრების დადგენილება, რომ თავმჯდომარე კომიტეტისა ამის შემდეგ აღარ ინიშნებოდეს ცენტრალ მთავრობისაგან, არამედ კომიტეტის წევრები ირჩევდნენ მას და ეხლანდელი თავმჯდომარე კორვინ-პავლოვსკი უნდა გადადგეს თანამდებობიდან და მისი ადგილი არჩეულმა კაცმა უნდა დაიკავოსო. პაპაჯანოვმა პრინციპიალურად თანხმობა განუცხადა დადგენილების შესრულებაზე და შეჰპირდა კომისიას, რომ ამის შემდეგ კომიტეტის სახელობაზე გადადებილ ფულებს არჩეული თავმჯდომარე მიიღებსო.

◆ **შეიარაღება.** გაიმართა თათბირი ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტისა და განსაკუთრებულ კომისიისა, რომელშიაც შევიდნენ სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენელნი. აღნიშნეს ფაქტი, რომ მცხოვრებნი იარაღს ისხამენ და ამ იარაღისათვის ფულს არა ზოგავენ. გამოირკვა, რომ ამ მოვლენის ერთი მიზეზთაგანი ის არის, რომ ხალხს იჭვი აქვს, ვაი თუ მტკიცე არ იქმნეს უკვე მოპოვებული თავისუფლებაო. დაადგინეს ხალხს მიმართონ მოწოდებით და დაამშვიდონ. დაადგინეს აგრეთვე, რომ იარაღის ტარების ნება მხოლოდ იმას შეეძლოს, ვისაც ამის ნებართვა ექმნებაო.

◆ **ერევნის ამბები.** „თბილისის მუშათა და სალდათთა დეპუტატების ცნობებს“ ამბავი მოსვლია, რომ ერევანში 15 აპრილისათვის მოელოდნენ ხოცვა-ჟლეტას. ერევანში უნდა წასულიყვნენ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი პაპაჯანოვი და სალდათთა დეპუტატთა საბჭოს ორი წევრი.

◆ **სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრებამ** 14 აპრილს დაადგინა მხარი დაუჭიროს სახალხო მასწავლებელთა დელეგატების კრების დადგენილებას სკოლების ერთ სამინისტროს უწყებაში გადასვლის შესახებ. კრებამ აირჩია კომისია ცხრა კაცისაგან და დაავალა მოაწყოს თბილისში საეპარქიო სამრევლო სკოლების მასწავლებელთა დელეგატების კრება. დელეგატების კრება დანიშნულია 5 მაისისთვის. კრების საგანი იქნება არჩევა კომისიის, რომელმაც უნდა ჩაიბაროს საეპარქიო სასწავლებლების გამგეობის საქმეები, მოაწყოს ღარიბ მოწაფეთა დახმარების საქმე და გაარჩიოს სკოლის გაერთიანების საკითხი.

## ზეიმი მაისს!

ფერი და ფერი; ათასი ფერი!
გაგიჟდი, ქუჩა თეთრ აღტაცებით!
დღეს მინდა ცეკვა, დღეს მიყვარს მტერი,
გამოდით ყველა დღეს ტაშის ცემით!

დროშები რიგზედ, ამაყად, ზევით!
მთვრალი ზეიმით ადიდეთ ხალხი!
წინ გასწით ყველამ თავის აწევით,
წითელი ფარჩით შესცვალეთ თალხი!

ვარდი და ვარდი; ათასი ვარდი!
მოფინეთ ქუჩა ცხელ ყვავილებით!
განშორდეს ყველას დღეს რუხი დარდი.
წითელ მაისის ამწვანილებით!

ლერი ჯარაღლი.

# მუშათა დღესასწაული

განახლებულმა რუსეთმა მოინდომა ყოველი ძველის ჩამობერტყვა. თვით წელთაღრიცხვითაც კი ჰსურს ჩამოჰშორდეს რუსეთის სიძველეს, იმ დახავსებულ სიძველეს, რომლის წყალობითაც დღემდის რუსეთს ევროპის სახელმწიფოდ არავინ სთვლიდა.

ევროპას, ჩვეულებრივის წარმოდგენით, მხოლოდ დასავლეთ სახელმწიფოთა მიერ დაჭერილი ტერრიტორია წარმოადგენდა. უზარმაზარი რუსეთი უკულტურობისა და სატრაპულ წესწყობილებისა გამო, სამართლიანად აზიად ითვლებოდა. დღევანდელმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ კი ამ საშინელებიდან გამოიყვანა და დასავლეთელთან შეაკავშირა მტკიცე ჯაჭვით.

დღეს მუშა და ჯარისკაცები უდგანან რევოლიუციონურ მოძრაობას, მიტომაც იყო, რომ მათ მოითხოვეს დასავლეთელ ამხანაგებთან დღესასწაულ მაისობის გადახდა.

რა არის პირველი მაისობა? ამ საკითხს მარტივი ისტორია აქვს, სულ 27 წელი. 1888 წელს პირველად ამერიკელმა მუშებმა მოითხოვეს ამ დღეს 8 საათის სამუშაო დღე, რაიც ოცნებად მოეჩვენათ იმ დროინდელს შეძლებულს კლასებს და ხიშტიც კი მოუღერეს ასეთს მოთხოვნილებათა ჩასაქრობათ. შემდეგ 1889 წ. პარიზის კონგრესზე სოციალისტებმა 8 საათის სამუშაო დღის გვერდით სხვა სოციალ-პოლიტიკური საკითხებიც წამოაყენეს. მას შემდეგ პირველი მაისი სიმბოლოდ გარდაიქმნა, მუშა მასში ჰხედავს თავის გამარჯვების დღესასწაულს, თვითეულს მოთხოვნილებით მათთვის სანუკვარს სოციალიზმთან დაახლოვებას.

დღეს რუსეთი განახლდა და ეს დღესასწაული მით უფრო საინტერესო გახადა, რომ მას დასავლეთ ამხანაგებთან ერთად იხდის და წელთაღრიცხვითაც სავსებით უკავშირდება მათ.

ახალს ცხოვრებას ახალი სტილი მოჰყვა, საერთაშორისო დემოკრატიამ მით ერთი კიდევ გადასდგეს ნაბიჯი გამარჯვებისა და პროგრესისკენ...

დ. კა—ძე.

# პატარა ფელეტონი

**„ე რ ტ ო ბ ა“.**

— გთხოვთ გვამცნოთ საქართველოს ეროვნულ კომიტეტის მისამართი.—მიმართეს ასეთ თხოვნით ქართველ მოღვაწეს პოლონეთის საბჭოს წარმომადგენლებმა.—ჩვენ გვინდა მივესალმოთ ქართველ ერს და ვუსურვოთ მას ბედნიერი თავისუფალი მომავალი.

— უკაცრავად...—წაილუღლუღა ქართველმა,—ჩვენში ჯერ არ მოწყობილა ასეთი კომიტეტი. მაგრამ... რასაკვირველია... მოეწყობა, მალე მოეწყობა. ჯერ-ჯერობით კი შეგიძლიანთ აი ამ სამ მისამართით ისარგებლოთ... იქ ჩვენის პარტიების ბინაა. ქართული ეროვნული კომიტეტი კი მალე, ძალიან მალე მოეწყობა... კვლავ წაიბურტყუნა ქართველმა და საჩქარიოდ გამოემშვიდობა პოლონელებს.

——

დარბაზში შემოვიდა ხუთი მოხდენილი ვაჟკაცი.

— ნება გვიბოძეთ გაგეცნოთ,—სთქვა ერთმა მათგანმა.—ჩვენ გახლავართ თქვენი ჩრდილო-მეზობლების წარმომადგენლები: ჩაჩნები, ინგუშები, ლეკები, ყუმიხები. დღევანდელ აფორიაქებულ დროისა გამო ძველად ძველ მთის ბილიკით მოვეშურებოდით საქართველოში მისი აზრის გასაგებად, და რჩევა დარიგებისათვის.—

— უკაცრავად, ჩვენ ერთ-ერთი ქართული პარტია გახლავართ... შესაძლებელია, მარტო ამ უკანასკნელის რჩევამ არ დაგაკმაყოფილოთ,—უპასუხეს მათ.

— თქვენ პარტიებს ახლოს არ ვიცნობთ. ამიტომ ყველასთან მოლაპარაკება გაგვიძნელდება. თუ შეიძლება თქვენი საერთო ეროვნულ კომიტეტის მისამართი გვაცნობეთ.

— ბოდიშს ვიხდით, ჯერ ასეთი ქართული კომიტეტი არ მოწყობილა... მაგრამ... უსათუოდ მოეწყობა... უსათუოდ...—

— როდის-ღა?—ღიმილით შეეკითხა ჩაჩანმა მოპასუხეს,—დღეს ყველა ერების მომავალი ბეწვზედ ჰკიდია და წუთებით იზომება. რაც წელან გაფუჭებულა, შემდეგ წუთს აღარ გამობრუნდება... საუბედუროდ, არც ჩვენ მოგვეპოვება დრო ცდისა. მივეშურებით კავკასიის მაჰმადიანთა კრებაზედ. განგებ ერთის დღით შემოვიარეთ საქართველოში კავკასიის ერების მომავლის შესახებ ქართველების ავტორიტეტულ აზრის მოსმენად... რას იტყვით?

——

— გაიგეთ,—მეუბნებოდა ერთი ნაცნობი უკრაინელი მოღვაწე რუსეთიდან ჩამოსული - რომ ამ ცოტა ხანში საქართველოს ესტუმრება უკრაინელების ყველა პარტიების დელეგაცია. ეს პოლიტიკური პარტია, აშკარაა, ჩვენს ეროვნულ საქმეს თვალსაჩინოდ წინ წამწევს. უკრაინელთა საბედნიეროთ რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე მოხდა პარტიების გაერთიანება ეროვნულ ნიადაგზე. ამ დღიდან ძლიერნი და შეუდრეკელნი მიგვყავს უკრაინელნი თავისუფლებისაკენ.

მართლადაც, თქვენი გაერთიანების საქმე როგორღა არის... ხომ მორიგდით კიდეც... ხომ გაქვთ ეროვნული „რადა“?

— არა... ჯერ არ გვაქვს... მაგრამ მალე მოვაწყობთ...—ვუპასუხე.

— როდის-ღა მალე?—გაკვირვებით შემეკითხა უკრაინელი. ახლო მომავალში რუსეთის დამფუძნებელი კრება გაიხსნება. მასთან თქვენ ბევრი მოსაგვარებელი საქმე გაქვთ შინაურობაში და მეტადრე მეზობლებთან. თქვენთვის ყველაზე მეტად საჭიროა ერთობა. აი, რა ინტენსიურად მოქმედებენ თქვენი მეზობლები—და გადამიშალა გაზეთი:

„კავკასიის მაჰმადიანთა კრება ბაქოში, სომხის ეროვნული კრება ერევანში“, ატყობინებდა გაზეთი ქვეყანას.

——

„ერტობა“, „ერტობა“—გაჰკიოდა ქუჩაში რუსი მეგაზეთე.

მწარედ გამეცინა...

ეკალი.

# პეტროგრადელ ქართველთა ახალშენი

პეტროგრადის ქალაქის საკრედიტო ამხანაგობას ცენტრალ საზოგადოების შენობაში, 4 აპრილს შესდგა პეტროგრადელ ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების კრება. თავმჯდომარის ა. ჩერქეზიშვილის წინადადებით კრებამ გადასწყვიტა: მიჰმართოს ქართულ პარტიულ ორგანიზაციებს, მოსპონ კინკლაობა და შფოთი ამ საპასუხისმგებლო დროში და შეერთებულად იმოქმედონ საქართველოს ნაციონალ დემოკრატიულ თვითმართველობის იდეის გარშემო; გამოუცხადოს სალამი ციმბირიდან დაბრუნებულ ი. გ. წერეთელს, ხოლო ნ. ჩხეიძეს გამოეცხადოს თანაგრძნობა შვილის დაკარგვის გამო.

შემდეგ გამგეობის წევრნი ვ. იაშვილი და ა. ქორქია შეეხნენ წარსულ წლის სამოქმედო ანგარიშს.

როგორც ანგარიშიდან გამოირკვა, გამგეობას 200 ახალი წევრი შეჰმატებია, ხოლო ფულად 6.000 მან. შესანიშნავ ფაქტად უნდა ჩაითვალოს ქართული მრევლის დაარსება პეტრეს ქალაქში; ყურადღებას იქცევს ა. ქორქიას მეთაურობით შემწეობის აღმოჩენა ქართველ ტყვეებისადმი. შემწეობა აღმოუჩენიათ აგრეთვე პეტრეს ქალაქიც ღარიბ მოსწავლეთა და მცხოვრებთათვის. ბევრი გაჭირვებულისთვის აღმოუჩენია დახმარება ადგილის შოვნის სახით.

კრებაზე შესდგა ახალ წევრთა არჩევნებიც. საპატიო წევრებად ამორჩეულ იქმნენ თ. ი. ნაკაშიძე, ცოლქმარი აკაკი და მინადარა ხოშტარიები. გამგეობის წევრებად: გენ. ლეიტ. თ. ა. ვაჩნაძე, მღ. იოს. ჩიჯავაძე და ჩერქეზიშვილი. კრებამ დაადგინა: მიანდოს გამგეობას დროის დაგვარად ახალ წესდების შედგენა. გამოეცხადოს მადლობა ეკატერინე ჩოლოყაშვილისას, რომელიც ენერგიულად ჰმოქმედობდა საზოგადოების სასარგებლოდ („პეტ. ვედ.“).

# ვალ. გუნიას იუბილე

(იუბილეს მომწ. კომიტ. მოწოდება.)

**პატივცემულო მოქალაქევ!**

დიდია დღევანდელი მომენტი.

რუსეთმა მტკიცე ხელით მაღლა ააფრიალა თავისუფლების დროშა და, სხვათა შორის, ზედ წააწერა: „ეროვნებათა თავისუფლება“!

საქართველო კი დიდი ხანია მწყურვალეა მის დათრგუნვილ უფლებათა აღდგენისა.

მისი თავისუფლების დღეც ეხლა დგება.

ამიტომ ყოველი ქართველ მოქალაქის მოვალეობა დიახაც გართულდა და მრავალფერი შეიქმნა.

სწორედ „ასი თვალი უნდა გამოიბას და ასი ყური გამოისხას“ საზოგადოებამ თავის მოვალეობათა პირნათლად აღსასრულებლად და ამ მოვალეობათა შორის არ უნდა დაივიწყოს ისინიც, რომელთაც შეგნებულისა და თავგამოდებულის ეროვნულ-კულტურულის მუშაობით ნიადაგი მოუმზადეს დღევანდელს ჩვენს განთავისუფლების ხანას.

ერთი ასეთი პიროვნებათაგანი—დაუცხრომელი მებრძოლი და კულტურული მოღვაწე არის

**ვალერიან ლევანისძე გუნია**

იგი ერთი დედა-ბოძთაგანია ქართულის თეატრისა, მოურიდებელი და პირუთვნელი ჟურნალისტი, ფაფარდაუდრეკელი საზოგადო მოღვაწე.

დიდია და მრავალგვარი ვალერიან გუნიას ღვაწლი სამშობლოს წინაშე:

იგი თუ ერთის ხელით [illegible] და დროზედ მოსწრებულ [illegible] სწერს, მეორეს ხელით სახალხო, ყველასათვის ხელმისაწვდომ გამოცემებს უძღვება; თუ სცენაზედ რთულსა და პასუხსაგებ როლებს ასრულებს, იმავე დროს საზოგადო ასპარეზზედ უშიშრად გამოდის ყველა იმ მოვლენათა მამხილებლად და განსასჯელად, რომელნიც მას თავის ქვეყნისათვის საზიანოდ და მავნებლად მიაჩნია.

რეჟისორი და საერთო ხელმძღვანელი თეატრის საქმეთა, მომწყობი და გამგე საეროვნო დღესასწაულებისა და ზეიმებისა, გამომცემელი და რედაქტორი სხვა და სხვა სახალხო ჟურნალ-გაზეთებისა იგი მოუცლელი და ყრუპირად, დღეგრძელობისა და ბედნიერებისათვის.

ყოველივე რაც კი მის მდიდარ სულსა და გულს გააჩნია, რაც კი მის ძალღონისა და დაუშრეტელ მხნეობის ნაშრომია, რაც კი მის თავდავიწყებულ გარჯისა და მადლიან ღვაწლის ნაყოფია,—ყოველივე ეს ოცდახუთმეტის წლის განმავლობაში დაუზარალებლად მოაქვს ძღვნად და ზვარაკად საზოგადო სამსხვერპლოზე თავის დაჩაგრულის ქვეყნის და უფლება-აყრილ ერის ნუგეშსაცემლად, გასამხნევებლად და ასაღორძინებლად.

და, რაღა თქმა უნდა, მადლიერი სამშობლო სწორედ დღეს,—მისი ქვეყნის განთავისუფლების განთიადზე, როდესაც, სამწუხაროდ, თვითონ ჩვენი თავგანწირული მოჭირნახულე უკვე ჯანგატეხილი და დასუსტებულია,—სამაგიეროს გადახდას უპირებს.

შარშან საზოგადოებამ და მწერლობამ ერთხმად გადაწყვიტა ვალერიან გუნიას სამადლობელი დღე შესაფერის პატივისცემით და ზეიმით ედღესასწაულნა.

**ეხლა ეს ზეიმი და დღესასწაული დანიშნულია ქ. თბილისში შაბათს, 29 აპრილს, დილის თორმეტ საათზედ, სახელმწიფო თეატრში.**

მაგრამ მარტო საზეიმო შეკრება და დღესასწაული არ კმარა ჯილდოდ ფასდაუდებელ მოღვაწისათვის.

ზეიმის მომწყობს კომიტეტს ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას და ქართველ მსახიობთა კორპორაციას აზრად აქვთ, თუ კი ქართველობა ხელს შეუწყობს, თავის დაუძლურებულს მოღვაწე-მოამაგეს თავშესაფარად და საცხოვრებლად მიართვას ქ. თბილისში სახლკარი, რისთვისაც ამ თავითვე უნდა შეიდგეს საჭირო და შესაფერი თანხა სხვა და სხვა დაწესებულებათა და კერძო პირთა ნებაყოფლობითის წვლილისაგან.

გაცნობებთ რა ყოველივე ამას, პატივისცემით მოგიწოდებთ თქვენ შესაფერი მონაწილეობა მიიღოთ ამ ჩვენს საერთო ეროვნულ-კულტურულს დღესასწაულში.

წერილები, დეპეშები, მილოცვები, ფული და შემოწირულებანი უნდა გამოიგზავნოს ქვემოდ აღნიშნულის მისამართით.

**დღესასწაულის და ზეიმის მომწყობნი:** ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა, საზეიმო პატივცემის მომწყობი კომიტეტი და ქართველ მსახიობთა კორპორაცია.

თავმჯდომარე **ი. ზარათაშვილი,** მდივანი **შალვა დადიანი.**

**მისამართი:** პირადად: სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა, ქართ. დრამ. საზოგად. კონტორა, დილის 11—2 ს., წერილებისთვის: Тифлисъ, почтовый ящикъ № 38, Турашвили Абраму Ильичу. დეპეშებისთვის: Тифлисъ, Грузинскiй театръ.

# ფერშალთა და ბებია-ქალთა ყრილობა

20—21 აპრილს, სამედიცინო საზოგადოების დარბაზში მოხდება სრულიად კავკასიის ფერშალთა და ბებია-ქალთა ყრილობა, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს მათი მდგომარეობა. ჩვენი მოვალეობაა ყველანი მოვიდეთ ამ კრებაზედ და ვიმსჯელოთ, თუ როგორ და რა გზით გავიუმჯობესოთ ჩვენი მდგომარეობა. უნდა მჭიდროდ შევკავშირდეთ...

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ფერშალთა და ბებია-ქალთა ფართო მასსა ამ საერთო კრებაზედ მონაწილეობას მიიღებს და ამითი ჩაუყრის საძირკველს მჭიდრო პროფესიონალურ კავშირს.

ვ. საათაშვილი.

# მოსწავლე ახალგაზრდობას

რევოლუციამ ჩვენს ახალგაზრდობასაც ფართო ასპარეზი გადუშალა სამოქმედოდ. ყოველგვარი ხელოვნური ზღუდე გარღვეულია. ახალგაზრდობა მოქალაქის უფლებით აღჭურვილა, თავს მომზადებულად სთვლის, თამამად ერევა სოციალ-პოლიტიკურ საკითხთა გარკვევა-გადაჭრაში.

თქმა არ უნდა, ყველა ეს კარგია. მესმის ახალგაზრდობის თავშეუკავებელი აღფრთოვანება, განსაკუთრებით მისი ოპოზიციური სულის ვითარება, რომ ყოველს გაბატონებულს რეჟიმს კრიჭაში უდგას. მაგრამ ერთი აღფრთოვანება არა კმარა, არა კმარა ისე, როგორც, წმინდა ახალგაზრდული მიტინგური გატაცება, ძველად აღკრძალულ და აწ უკვე საცენზურო ბორკილ ახდილ წიგნების კითხვა, თუ მოქმედ პარტიათა ბელადებთან გამოლაპარაკება, დაახლოვება. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ კიდევ ახალგაზდები ვართ, მოწაფენი, რომელთაც გვმართებს სათანადო მომზადება, რომ გათვითცნობიერების ცხოვრებაში გადავდგათ ფეხი და გავერკვიოთ სახელმწიფოს თუ სოციალ უთანხმოებათა და საზოგადო მსოფლიო იდეალთა საკითხებს. ამ კითხვების გაცნობა და გადაჭრა თხოულობს ჯეროვანს მომზადებას, რომ მცდარი ნაბიჯით იმდენად საზოგადო მსვლელობას არ შევუშალოთ ხელი, რამდენადაც თვით ჩვენს თავს. ესე იგი ამ გატაცებით არ ჩამოვრჩეთ: არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ჯერ სწავლაა და მერე ფილოსოფოსობა და არა ჯერ ფილოსოფოსობა და შემდეგ სწავლა.

მაგრამ არ იფიქროთ, ყველა ამით მსურდეს მოგიწოდოთ ყაზარმულ სწავლა-განათლებას და დღევანდელ სკოლის კედლებს—ნორჩ სულთა საჯალათოს უდრტვინველი მორჩილება გამოუცხადეთ მეთქი! არა, აქ თქვენც ხმა გაქვთ და მრავალნი თანაზიარნიც გყავთ მალე მოხდეს რეფორმა დღევანდელი რუტინისა, ახალი ტიპის სასწავლებლის შესაქმნელად, სადაც თქვენ თუ არა, მომავალი ნორჩი თაობა ეღირსება ცხოვრებასთან მიზანშეწონილ სწავლა-განათლების მიღებას. დღეს ამ საგანზე არა მაქვს საუბარი. ამისი დროც მოვა. მე მსურს დღესდღეობით თქვენს მოუთმენელს გრძნობებს მივცე პასუხი.

რაც უნდა იყოს, რევოლუციას სტიქიური ხასიათი აქვს და მისი ტალღა მოითხოვს, რომ თქვენც აჰყვეთ, მის მქვირცხელ ფერხულში ჩაებათ. მაშ რა უნდა აკეთოთ?

უწინარეს ყოვლისა ერთხელ და უკანასკნელად უნდა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ ბროშიურების კითხვით ფონს ვერ გავალთ და ჩვენს ცხოვრებას, როგორც ასეთს, ვერავითარს აქარვებს ვერ მივცემთ. თქვენს აღფრთოვანებულს სულს ამ ბროშიურების ნაცვლად მეტად პროზიულს წინადადებას ვაძლევ: მიჰხედეთ სოფლებს! მხრებს ნუ ჩამოჰყრით, ერთის შეხედვით ეს თითქოს მცირედი რამაა, ისე ლამაზად არ გაჰკივის, როგორც მშვენიერი ტერმინები, რაც კი ათასგვარი „იზმითა“ და „აციათი“ თავდება, მაგრამ სოფელი, მეგობრებო, ეს ის სიტყვაა, რომლის გახსენება სიცოცხლის მთავარ ძარღვს უდრის. აი, მარტივი და ფრიად საინტერესო ასპარეზი, სადაც შეგიძლიანთ თქვენს გულს, თქვენს აზრებს, თქვენს აფურჩქვნილს კუნთებს, ფიზიკურს სისრულეს და სისხლის დუღილს შეუძლიან თამამად გაჰშალოს ფრთა სამოქმედოდ, არგოს ჩვენს მრჩენელს გლეხობას, არგოს თავის თავსაც. სოფელი უპატრონოა. სოფელი უნუგეშობას მოუცვია. რა ჰხდება იქ? ქალაქში მყოფელთ გვგონია, იქ ყოველისფერი სდუღს და გადმოდის. არ წარმოგვიდგენია მისი გაჭირვება, არ ვიცით, რომ უკაცობამ დიდიხანია განსაცდელში ჩააგდო იგი. არ ვიცი, ადევნებთ თვალყურს თუ არა ჟურნალ-გაზეთებში გაბნეულს სოფლიდან მონაწერს წერილებს! მართალია, მათი კითხვა ისეთი საამო არ არის, როგორც რომელიმე სააგიტაციო ბროშიურისა, მაგრამ თუ კი დაკვირვება გაქვთ, რამდენს კვნესას ამოიკითხავთ, რაოდენს ჩივილს! პროფილი მშობლის ქვეყნისა სრულს დაღუპვის უფსკრულს შეუძრწუნებია. არ იკითხავთ რა აშავია?

ჩემო კეთილნო, დასამალი აბა რაღაა. დიდი ხანია ჩვენი ქვეყანა გამოეთხოვა საკუთარ ბეღლის დოვლათს. უკვე გეცოდინებათ, რომ რევოლუციამდეც ვერა გვყოფნიდა პური თუ რუსეთი არ მოგვაშველებდა. დღეს დღეობით ყველას თვისი თავი გაუჭირდა. დიდიხანია ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მსხვილი ასოებით ვაუწყეთ, რომ „შველის იმედი ნულარ გვექნება, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ჩვენის თავისთვისაო“... ეს მარტო სიტყვები როდია. აგერ, უბრალო კაცები კი არა, თვით კომისარებიც ვერას გამხდარან. მაგალითად, ნ. ელიავა, რომელიც გაგზავნილი იქმნა რუსეთში, დეპეშით იტყობინებოდა, პური საშოვნელი არ არისო. ერთით კი ან სად უნდა ეშოვნა. თვით რუსეთში აღარ არის ის, ძველი მათი მამაპაპანი რომ ამბობდნენ ხოლმე „тишь да гладь, да Божья благодать!“ იქაც პურის მხრივ დიდი უბედურებაა. დროებითმა მთავრობამ ინგლისის მიხედულობით შესაფერი ზომები მიიღო, რომ დაუთესავი მტკაველი მიწა არ დარჩენოდათ, მაგრამ არა თუ მტკაველი, მთელი ლატიფუნდიები ხელუხლებელია. მემამულეები პროტესტს აცხადებენ მიწის დამუშავებაზე, რად ვთესოთ, როდესაც აგრარული ანარქია გვიქადის აწიოკებასაო! აგრარულ ნიადაგზე, მართლაც, ნამდვილი ანარქიაა რუსეთში. თვითოეული ჟურნალ-გაზეთი მოვალედ სთვლის ამ საკითხს შესაფერი პასუხი გასცეს. განსაკუთრებით საყურადღებოა „ზემლია ი ვოლიას“ წერილები, სადაც ესერები რუსეთში მომხდარს ანარქიულს უბედურებათ სასტიკად ჰგმობენ, მაგრამ მაინც ვერასა ჰხდებიან. დაუმატეთ ისიც, რომ თითქოს განგებ, ბუნების ანარქიაც დაერთო, სტიქიააც ამ უბედურების დროს მოიცალა რუსეთის თავზე, მდინარეები ადიდდნენ. მაგალითად, ვოლგამ ხუთზე, ათზე, ხშირად ოც ვერსის სიშორეზე წაჰლეკა თავის ნაპირები და აოხრა ნათესები. მაშასადამე, ვაება რუსეთისა შიმშილობის შესახებ, სამართლიანია. სამართლიანია თვით დროებითი მთავრობის ზომები, რომ სახელმწიფო მონოპოლია გამოაცხადოს პურის შესახებ. სამართლიანია გაზეთების გოდებაც, რომ რუსეთმა თვითონ თუ არ უშველა თავს ამ საკითხში, ყელამდისინ ოქროშიც რომ იჯდეს, გარედან ველარსაიდან შემოიტანს პურს...

თუ ეს ასეა რუსეთში, საიდანაც ხსნის იმედი გვქონდა ხოლმე, სურათი შემაძრწუნებელი იქნება, თუ გავითვალისწინებთ რა უბედურება გველის, რახანც ერთხელ და უკანასკნელად უარი განგვიცხადა მოშველებაზე. აი ჩვენი საზრუნავი სწორედ ესაა, აი ყველა პოლიტიკურ პარტიების ბროშურა საგიტაციო წერილებზე უფრო რა გაჰკივის შიშველი სახით ასე მძაფრად, აი, რა მოგიწოდებსთ თქვენ თქვენი ჯანღონის ასამოძრავებლად! მაშ, სოფლისაკენ, მეგობრებო, სოფელს მიხედეთ და ასპარეზს დიადს დაინახავთ! ჩააგონებინეთ, მიეშველეთ გლეხობას ყველა იმის თესვაში, რაც შეიძლება მოესწროს კიდევ, სიმინდი და განსაკუთრებით კარტოფილი დიდი ნუგეში იქნება შიმშილთან საბრძოლველად. მიაქციეთ სოფლელთა ყურადღება იმ შავბნელ ჩვეულებაზე, რომ ხელი აიღონ არყის ხდაზე. ამ უპურობის დროს რა დროს არაყია! სასტიკი ზომებით შეაგნებინეთ ამ უკუღმართი ჩვეულების დამღუპველობა. ნუ დაივიწყებთ, მეგობრებო, რომ რუსეთის თავისუფლების საკითხი, მისი „ყოფნა არ ყოფნა“ ახლა პურზეა დამოკიდებული. რუსეთში, როგორც ვსთქვი, დროებითი მთავრობა და სახელმწიფო სათათბირო ყველა ზომებს იღებენ შიმშილობის თავიდან ასაცდენად. პურისგანაა რუსეთის ბედ-იღბალი დამოკიდებული. მართლაც, საკმარისია მცირეოდენი პანიკა ასტყდეს ამ ნიადაგზე, რომ მთელს რუსეთში არ ნახულმა ანარქიამ წამოჰყოს თავი და ძმამ აღმართოს ძმაზე ხელი. და აი, თქვენც სოფლის ყოველ კუთხეში ხმა მიაწოდეთ, დაეხმარეთ სოფლელ გლეხს თესვამომკაში, ამასთანავე თქვენ გაძევთ ვალი სასტიკი პროტესტი განუცხადოთ და სწრაფი ცნობები მიაწოდოთ კომისარიატს თუ ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთობას, თუ ვინიცობაა უხამსი, 1905—7 წლის აგრარულმა ანარქიამ იჩინა თავი და გლეხობა გააბრიყვეს ერთ-ურთისა თუ მემამულეთა ნათესის განადგურებაში თუ ტყის გადაწვა-გაჩეხაში. თუ სადმე ასეთი მაგალითი მოხდა, აუხსენით გლეხობას, თუ რა სიბეცეს იჩენს, როგორ დაღუპვის გზას უწყობენ ამ გზით ხელს. დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს ველა სიჭირბოროტო საკითხს და მანამდე ყოველ გვარ ანარქიის მომიზეზე სასტიკათ უნდა დაისაჯოს. აი, მოკლედ ყოვლისფერი ის, რაზედაც მსურდა თქვენთან საუბარი! წადით, მიჰხედეთ სოფელს, დაეხმარეთ გაჭირვებაში, ესაა თქვენი მოვალეობა, ეს უფრო სადღეისოა და სასარგებლო თქვენთვის, თქვენი ქვეყნისთვის და მასთან ერთად რუსეთის მიერ მოპოვებულ თავისუფლების უზრუნველ საყოფელად!

სოფელს მიჰხედეთ!..

**ქართლელი.**

# ფშავ-ხევსურეთი განსაცდელშია

ჩვენის მეფეების დროს ფშავ-ხევსურეთს განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მოქცეული; ეს კუთხე გარდა იმისა, რომ გამოჩენილ ვაჟკაცთ აძლევდა სამეფოს, დარაჯათაც უდგა ბარს ჩრდილოეთის მხრივ.

შემდეგში რუსის მთავრობამ ამ კუთხის მკვიდრნი სრულიად ვერ დააფასა და ყოველ საჭიროების დროს აბუჩად იგდებდა, როგორც „ველურ“ ხალხს.

დღეს, ამ დიდის რევოლუციის დროს, სულ სხვა მდგომარეობაშია ფშავ-ხევსურეთი. აპრილის ნ ფშავეთში მოვიდა პირიქით ხევსურეთიდან გამოგზავნილი კაცი და შემდეგი არა სასიამოვნო ამბავი მოგვიტანა: „სამასი შეიარაღებული ქისტი შატილს დაეცა, წაასხეს საქონელი, ზოგი დავაყრევინეთ და კაცებიც დაგვიჭრესო. წინათ ფშავ - ხევსურნი ძმები ვყოფილვართ გასაჭირის დროს, დაგვიჭირეთ პირი, ძმებო ფშაველნო, თორემ ჩვენ მარტო მტრის დახვედრა არ შეგვიძლია და იძულებული გავხდებით ქისტების მხარე დავიჭიროთო“. ფშავლები „ლაშარის ჯვარში“ შეიკრიბნენ, აირჩიეს ორი კაცი და საკლავით (კურატით) გააგზავნეს „გუდანის ჯვარში“ ხევსურეთში, რათა იქ ძმობა-ერთობაზე შეჰფიცონ ურთ-ერთს ფშავ-ხევსურებმა. ერთიც აირჩიეს ალვანში (თუშებში) გასაგზავნად, რომ თუშებმაც გაიგონ ფშავლების მწუხარება.

ფშავეთის მთებზე თოვლი უკვე გადნა. შენიშნულია ყარაულებისაგან, რომ ქისტებს მთების ზვერვა დაუწყვიათ. ამ ჟამად შუაფხოს საზოგადოებამ მოახერხა მთებზე დაყენება 70 კაცისა შემდეგ ადგილებზე: წუბრონის მაღალზე 21 კაცი. საქარეზე 9 კაცი, ბორბალოს ძირზე 30 კაცი და საქარავნოზე 10 კაცი. ყველა ესენი უიმედო იარაღით არიან შეიარაღებულნი. საზოგადოებამ თავისი გამგე გაგზავნა თბილისში, რათა იზუამდგომლოს სადაც ჯერ არს, რომ იარაღი მისცენ ხალხს, რომ თავი დაალწიონ მოსალოდნელ და უკვე მომდგარ განსაცდელს.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის კომიტეტი ფშაველების მწუხარებას გულგრილად არ შეხვდება და ხელს გაუწვდის შეძლების და გვარად. ამასთანავე აუცილებლად საჭიროა, რომ ამავე კომიტეტმა აცნობოს ქისტეთის მეუფროსეთ, რომ მათ ხელი აიღონ ფშავეთისკენ ლაშქრობაზე, თორემ ბოლო არც მათი წავა კარგად. მთა უკვე ახერხებს შეერთებას, „ძმობას“.

**ფ. ხევიტორელი.**

# დაბა-სოფლები

**სოფ. ნაძრაკოვო** (სენაკ. მაზრა). მოხდა საზოგადო კრება ოცის თავებისა სარევოლუციო. აღმასრულებელ კომიტეტის დასაარსებლად. კრებას ხელმძღვანელობდა ბ. ვ. ქ—ბულია მ. კუჭავას თავმჯდომარეობით. ვ. ქ—ბულიამ ხალხს აუხსნა დღევანდელი ამბები. სიტყვა სთქვა აგრეთვე მასწ. იობიძემ. ამორჩეულ იქმნა აღმასრულებელი კომიტეტი და მილიცია. ხალხმა ერთხმად შეჰფიცა ახალ მთავრობას. კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს მღ. ნ. მიმინოშვილი, თანაშემწედ მ. კუჭავა და მდივნად ვლ. ბოკერია.

**მ. კუჭავა.**

—

**ცხინვალი.** აქაურ ებრაელთა საზოგადოებამ ამ უკანასკნელ დღეებში ყურადღება მიაქცია თავისს სასულიერო საქმეებს; მოახდინა კრება, და საჭიროდ სცნო ამოერჩია ხუთი კაცი. ამათ ევალებათ ახალი სასწავლებელი აეშენებინათ, და საზოგადოთ ყურადღება მიექციათ ყოველგვარ სასულიერო საქმეებისთვის; სახხლდობრ— სასწავლებლებისათვის, სალოცავებისა და სხვა სარწმუნოებრივ დაწესებულებებისათვის. ამორჩეულნი დიდის ხალისით შეუდგნენ საქმეს და სამის დღის განმავლობაში 2500 მანეთამდე შეაგროვეს. ხალხიც დიდის სიყვარულით ეპყრობოდა ამორჩეულებს და დიდს შემწეობას ჰპირდებოდა მომავალშიც.

ამორჩეულებმა ანგარიში მოითხოვეს, როგორც ახალის, ისე ძველათ შეგროვებულ ფულისა, მოითხოვეს ყველასგან, ვისთანაც კი ეგულებოდათ. და ამნაირად შეაგროვეს ზემოხსენებული ფული და ახალი წესწყობილების შემუშავებას შეუდგნენ. რასაკვირველია, ასეთი წესწყობილებანი ხელს არ აძლევდა ცხინვალის რაბინს; და ამ უკანასკნელმა გამოილაშქრა ამორჩეულთა წინააღმდეგ. ერთის კვირის ბრძოლის შემდეგ, აიძულა ისინი მიეტოვებინათ საქმე სრულიად, და შეგროვებული ფულიც უკან დაებრუნებინათ პატრონებისათვის.

**ი. ჯი—ლი.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო უმორჩილესადა გთხოვთ, „საქართველოში“ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს.

მარტის 19 დ. ახალსენაკში გაიმართა სენაკის მაზრის მასწავლებელთა საზოგადო კრება. კრებაზე, სხვათა შორის, ლაპარაკი ყოფილა იმის შესახებ, რომ სახალხო შკოლებს არასასურველი ელემენტი ჩამოაშორონ. არასასურველთა შორის მეც მოვყოლივარ, ადამიანი, რომელიც 43 წელიწადია სახალხო განათლებას ვემსახურები. ჩემს მოწინააღმდეგეებად გამოსულან მასწავლებელნი მ. კაჭარავა, ბ. კალანდარიშვილი და ი. ხუხუა. სამივე ერთს დროს ჩემს მიერ რწმუნებულ სასწავლებელში იყვნენ და სასწავლებლის ინტერესებმა იძულებულმყო სასწავლებლისათვის სამივე მომეშორებინა. მასწავლებელთა კრების მიერ აღმასრულებელ კომისიის წევრებად მოჰყოლიან მასწავლებელნი კაჭარავა და კალანდარიშვილი, ჩემნი ბრალმდებელნი და იმავე დროს გამსამართლებელნი.

უმორჩილესადა ვსთხოვ კომისიას, სანამ თავისს მსჯავრს რასმე გამოიტანდეს, საქმე გამოიძიოს; იმედი მაქვს კომისიის პირუთვნელობისა და მაშინ შეიძლება როლები იცვალოს, დღევანდელნი ბრალმდებელნი ჩემნი იძულებულნი იქმნენ პასუხისმგებლად იქცნენ და ძალზედაც გაუჭირდესთ ეს პასუხისგება.

**სოფ. ბანძა. დეკანოზი ანტონ კეკელია.**

# შემოწირულებანი

თელავის ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის უფროს კლასის მოწაფეთ გადმომცეს ნინო რუსიშვილის და ნინო ღვინიაშვილის ხელით ოცდა ერთი მანეთი და ათი შაური ქართულ სკოლის უღარიბეს მოწაფეთა დასარიგებლად სააღდგომოთ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუახსენებ ზემო აღნიშნულ შემომწირველთ. ექვს მოწაფეს დაურიგდათ სამ-სამი მანეთი და ერთს მიეცა სამი მანეთი და ერთი შაური.

თელავის ქართული სკოლის გამგე **ნინო გოგნიაშვილისა.**

—

თეატრის ფონდისთვის შემოსწირა ალექ. ბაქრაძემ ხუთი მან.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპიძე.**
გამომცემელი **ამხ. „საქართველო“.**

# ამიერ-კავკასიის რკ. გზის
**მატარებლების მისვლა**
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისისაკენ გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, | 6.24 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ |

# ძვირფასო მოქალაქენო!

დაეხმარეთ თბილისის ციხეებიდან განთავისუფლებულ ტუსაღთა, გადასახლებულთა ოჯახებს, პირადი შრომით, ფულის და ნივთების შეწირვით. ამ მიზნებს ემსახურება თფილისელი პატრონატის საზოგადოება. უკვე 4 წელიწადია რაც არსებობს: საზოგადოება ეხმარება გაჭირვებულებს ტანისამოსის, საჭმლისა და საქმიმო შემწეობის სახით. არიგებს აგრეთვე სამუშაო იარაღებსა, ზრუნავს სამუშაო გამოუძებნოს უმუშევართ, მატერიალურ დახმარებას უწევს სამშობლოში დაბრუნებულ გადასახლებულებს და საპყრობილეებიდან განთავისუფლებულებს და სხვ. და ამნაირად ხელს უწყობს, რათა ხსენებულ პირებს საშუალება მისცენ პატიოსან შრომით ცხოვრებას შეუდგნენ.

საზოგადოება ეხმარება არა მარტო უდანაშაულოდ დასჯილ პატიმართა ოჯახებს, იმათაც კი, რომელთაც ესა თუ ის საჯელი დაუმსახურებიათ კიდეც და როგორც კი მოიხდიან შორეულ ქვეყნებში სასჯელს და სამშობლოში დაბრუნებას მოინდომებს.

ჩვენი დახმარებით ჩვენ ისევე საზოგადოებრივ კეთილ დღეობაზე ვზრუნავთ. სუსტ ნებისყოფის ადამიანებს ხელს უწვდით და ამგვარად საშუალებას ვაძლევთ თავი შეიკავონ არა სასურველ საქციელისაგან და ამით ჩვენ თვით საზოგადოებას ვიფარავთ ბოროტმოქმედებისაგან.

დღეს, როცა ახალი ამნისტიების მიხედვით მრავალ ათასს ტუსაღს საპყრობილის კარები გაუღეს და მრავალნი შორეულ ციმბირიდან უნდა დაბრუნდნენ, მათ ჩვენ მიერ მაშველი ხელის გაწვდენა დიახაც სჭირიათ. ამიტომაც მოგიწოდებთ და ჩვენთან ერთად დროებითი მთავრობაც სატუსაღოთა მთავარ გამგეობის პირით, დაგვეხმაროთ, გაიღეთ თქვენ თქვენი წვლილი ამ საზოგადო საქმისთვის!

შემოწირულებათა მიღება წარმოებს პატრონატის გამგეობაში: საოლქო სასამართლო (ოკრუჟნი სუდი) მიმართეთ სასამართლოს თავმჯდომარეს ნ. ა. **ტოლპიგოს.**

**გამგეობა.**

გამოცემა კნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა

## ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები
## სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.

გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისად აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:

**ს. გორგაძის**—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა“.
**ე. თაყაიშვილის**—„ხელთნაწერის მიმოხილვა“.
**ნ. დუბროვსკის**—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი“.
**ი. მეუნარგიას**—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“.
**გრ. რობაქიძის**—„ნიკო ბარათაშვილი“.
**დ. უზნაძის**—„პოეტის სული“.

გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.

წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი იან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.

**წიგნის ფასი ხელის მოწერით სამ მანეთ-ნახევარია** (3—50). სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.

(10—555—10)

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **გაითხოვოს და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლ ა ღ ი ძ ი ს** და ამხ-ს **ქარხნის საუკეთესო** ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის მიერ** პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

**მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით** და მასთანვე

## სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

## თევზის მრეწველნი
## ძმ. ძეზველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**დ. ზაიდლიზის-შვილი**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, ზოგი „**მუშკინი**“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **ზამთრის** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე **ახალ-ახალი** მწნილის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმების ხანგრძლივ ინზიკში.

## ქარებს (რევმატიზმის), ნ ე კ რ ე ს ი ს თირკმელების (ჭაჭების)

და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „**უროდონალი**“, და მაზი წასასმელი „**ატრო**“, სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი „**ურდონალისა**“ ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანეთი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი „**ურდონალი**“ და ოთხი კოლოფი მაზი „**ატრო**“. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ბეს შემდეგ.

დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.

**თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16: გან. 6—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.**

Тифлисское Отдѣленіе Парижской-фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская № 16, отд. 6—9. Противъ Государственнаго Банка.

სტამბა „ცხოვრება“ ასლან კოდანლიძისა, გამგეთის შესახვევი № 4.